ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## მურმან დუმბაძე ლეონიდ ჩერნოვეცკის უერთდება

მე ივანიშვილის არც ფინანსური და არც პოლიტიკური ვალი არ მაქვს



გვ.3

სამშაბათი, 15 დეკემბერი, 2015 №294 (6914) ფასი: 50 თეთრი

# მანანა კობახიძე: „ვითხოვ მტკიცებულებას, რომ ამ საქმეში 200 ათასი მაქვს აღებული“



გვ.2

„კოკაინის საქმეზე დაკავებული პირების შეწყალებას ნამდვილად ვითხოვდი“



ანასტასია ზაუტაშვილი

## „ალეკო ელისაშვილი ნაციონალების ინტერესს ატარებს“



გვ.4

შალვა ხაჭაპურიძე: „სოფლის ორღობეში რომ ჭორიკანა კაცები არიან, ზუსტად ისე იქცევა“



## პრეზიდენტმა ალეკო ელისაშვილს პირადი დაცვით სარგებლობა შესთავაზა



გვ.3



გვ.4

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე ერთი პირი დააკავა



გვ.4

## ბერი გაბრიელის გამზირზე ექიმი მოკლეს



## სოსო ჯაჭვლიანი: „რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებში ხელისუფლება არ ერევა“

გვ.5

კახა კალაძე: „რაგბი არ მაინტერესებს, ლენტების ბიზნესი მაქვს“





გვ.7

## რატომ ჩაიშალა ქართულ-რუსულ-აფხაზურ-ოსური მხარეების მოლაპარაკება?

## მალხაზ ველიჯანაშვილი: „პროკურატურის თანამშრომელმა საიდუმლო ინფორმაცია გასცა“



გვ.2



გვ.6

## ბანკების ასოციაცია საპოლიციო გამოსახლების მომხრეა

ISSN 1987-9385

# მანანა კობახიძე: „ვითხოვ მტკიცებულებას, რომ ამ საქმეში 200 ათასი მაქვს აღებული“

## „კოკაინის საქმეზე დაკავებული პირების შეწყალებას ნამდვილად ვითხოვდი“

გაზეთ „კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, საქმე, რომელზეც შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს მასზე ზეწოლაში ადანაშაულებს, ე.წ. კოკაინის საქმეა.

როგორც „კვირის პალიტრა“ წყაროზე დაყრდნობით წერს, კოკაინის საქმის მთავარი ფიგურანტი ნუგზარ ბოჭორიშვილი თავისი მეგობარი ქალის, ანასტასია ზაუტაშვილის გათავისუფლებას ხელისუფლების ცვლილებისთანავე მისი პოლიტპატიმართა სიაში ჩასმით შეეცადა.

გამოცემის ცნობით, ალეკო ელისაშვილს ანასტასია ზაუტაშვილის შეწყალების საქმის დაძვრას დაჟინებით სთხოვდნენ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე და ეკა ბესელია.


ანასტასია ზაუტაშვილი

გაზეთმა ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა იმის დასადგენად, თუ ვინ იყო ის პატიმარი, რომლის შეწყალების სანაცვლოდ ლამის 2 მილიონამდე დოლარს იხდიდნენ და რომელი პოლიტიკოსები ახდენდნენ ზეწოლას შეწყალების კომისიის მაშინდელ თავმჯდომარეზე.

– ჩვენი წყაროს ინფორმაციით, რომელმაც ამ ეტაპზე ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია, კვალი ე.წ. კოკაინის საქმემდე მიდის. საქმის მთავარი ფიგურანტი ნუგზარ ბოჭორიშვილი თავისი მეგობარი ქალის, ანასტასია ზაუტაშვილის გათავისუფლებას ხელისუფლების ცვლილებისთანავე მისი პოლიტპატიმართა სიაში ჩასმით შეეცადა, – იუწყება გაზეთი „კვირის პალიტრა“.

* * *

გუშინ, 14 დეკემბერს, მანანა კობახიძემ ამ საკითხზე ვრცელი კომენტარი გააკეთა.

– ნუგზარ ბოჭორიშვილს, როგორც რესპუბლიკური პარტიის წევრს, ჰქონდა მოთხოვნა, მისი საქმე პარლამენტში, პოლიტპატიმართა სიაზე მომუშავე კომისიის სხდომაზე გასულიყო, – განაცხადა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა.

მისი თქმით, კოკაინის საქმესთან დაკავშირებული პირები პოლიტპატიმართა სიაში არ მოხვედრილან. მათ ჰქონდათ მომართვა იმ კომისიის სახელზე, რომელიც თავის დროზე პარლამენტში მუშაობდა. კომისიამ საქმე შეისწავლა.

– მე, როგორც ადვოკატმა, კომისიას საქმის ირგვლივ ჩემ ხელთ არსებული ყველა მასალა, მტკიცებულებები და ფაქტები მივაწოდე, რადგან საქმე ძალიან უხეში დარღვევებით იყო ნაწარმოები. ნუგზარ ბოჭორიშვილი იმ ეტაპზე და იმ პერიოდში, როდესაც მის მიმართ დევნა მიმდინარეობდა, რესპუბლიკური პარტიის წევრი იყო, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

ნუგზარ ბოჭორიშვილს, როგორც პარტიის წევრს, ჰქონდა მოთხოვნა, რომ მისი საქმე კომისიაზე განხილულიყო.

– საქმის განხილვა მოხდა, მაგრამ ამ ადამიანის გვარი პოლიტპატიმართა სიაში არ მოხვედრილა. პარლამენტის შესაბამის დადგენილებაში ამ ხალხის საქმე არ მოხვედრილა, – აღნიშნა მანანა კობახიძემ.

მისივე თქმით, ის კოკაინის საქმეზე 2011 წელს, როგორც ადვოკატი, მუშაობდა.

– კოკაინის საქმე ძალიან კარგად მახსოვს – ეს არის ძალიან რთული და შრომატევადი საქმე, რომელზეც, როგორც ადვოკატი, ვმუშაობდი 2011 წელს. მაშინაც ვთვლიდი და ახლაც ვთვლი, რომ საქმეში უამრავი დარღვევაა – საქმე „შეკერილია“ საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, მოწმეებზე ზეწოლით, ადამიანების წამებითა და ფალსიფიკაციით, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

მან აღნიშნა, რომ მაშინვე ითხოვდა საქმეში ბრალდებული ადამიანების გამართლებას.

– ჩვენ გამამართლებელ განაჩენს ვითხოვდით. შემდეგ ვმუშაობდით ევროსასამართლოში გასაგზავნ საჩივარზე. ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც მე დეპუტატი გავხდი, მქონდა მოთხოვნა, რომ საქმე განახლებულიყო, გადასინჯულიყო, – აღნიშნა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა.

მისი თქმით, ეს იყო სრულიად ლეგიტიმური მოთხოვნა, რომლითაც ეს ადამიანები პროკურატურას მიმართავდნენ. გამოძიება დაწყებულია წამების ფაქტებთან დაკავშირებით და საქმეს თბილისის პროკურატურა აწარმოებს.

– ისინი შემდეგაც მოითხოვდნენ, რომ ყოფილიყო კონტროლი მათ განცხადებებზე, ყოფილიყო რეაგირება, ვინაიდან სამართლებრივი მისაგებელი,



რასაც ისინი ითხოვდნენ – საქმის განახლება, გადახედვა, გადასინჯვა, დღემდე განხორციელებული არ არის. იქედან გამომდინარე, რომ საქმის წარმოება დღემდე ვერ განახლდა, ბუნებრივია, მათ ჰქონდათ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა – მათ შორის შეწყალების უფლებით, – განაცხადა დეპუტატმა.

ისინი შეწყალებას ითხოვდნენ, მიმართავდნენ შეწყალების კომისიას.

– მომმართეს მეც, როგორც მათ ყოფილ ადვოკატს. შემეძლო რეკომენდაცია გამეწია, რაც სრულიად კანონიერი იყო. მივმართე პრეზიდენტსაც, მივმართე შეწყალების კომისიასაც. პატიმრებს გარკვეული ხნის მანძილზე პასუხიც კი არ ჰქონდათ, ჰქონდათ თუ არა უარი შეწყალებაზე. ვინაიდან იყო გარკვეული ხნის განმავლობაში შეფერხება, მქონდა ლეგიტიმური უფლება მომეკითხა საქმის მიმდინარეობა, ანუ მეთხოვნა, რომ მათ საჩივრებზე ყოფილიყო რეაგირება – ყოფილიყო განხილული, უარის შემთხვევაში კი, ეცნობებინათ დასაბუთებული პასუხი, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერის თქმით, გამოძიებამ, პროკურატურამ აუცილებლად უნდა დაადგინოს, ვინმე ამ საქმეში ხედავდა თუ არა რაიმე სარგებელს, ჰქონდა თუ არა ადგილი ანგარებას ან კორუფციულ გარიგებას.

* * *

რესპუბლიკური პარტიის ერთი ლიდერის, დეპუტატ ლევან ბერძენიშვილის განმარტებით, ნუგზარ ბოჭორიშვილი რესპუბლიკური პარტიის წევრი ნამდვილად იყო, მაგრამ მისი დამნაშავედ ცნობა პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებული არ ყოფილა.

რესპუბლიკური პარტია ბოჭორიშვილს პოლიტიკურ პატიმრად ვერ მიიჩნევდა.

– ის არ დასჯილა და არ ყოფილა კანონის ინტერესის საგანი იმის გამო, რომ ის პარტიის წევრი იყო. რესპუბლიკელობა აქ არაფერ შუაშია. თუკი გარკვეული მტკიცებულებები არსებობს, პროკურატურამ ეს საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს, – განუცხადა ჟურნალისტებს ლევან ბერძენიშვილმა.

„ახალი თაობა“ ლევან ბერძენიშვილს სხვა საკითხებზეც ესაუბრა.

– ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს, რა ინფორმაცია მიაწოდა დაკითხვის დროს პროკურატურას ბატონმა ელისაშვილმა, ან რა თქვა სხვა ბატონმა ასევე პროკურატურაში. ჩვენთვის ოფიციალურად ცნობილია, რომ პროკურატურას სწორედ იმ მუხლით, რომელიც გულისხმობს გავლენის გამოვლენას, აქვს საქმე აღძრული, – აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

***– ბატონო ლევან, იქნება თუ არა ეს საქმე პროკურატურისთვის, ირაკლი შოთაძისთვის, ერთგვარი ტესტი?***

– დიახ, შეიძლება ეს საქმე იყოს ტესტი. მთავარი არის, რა მტკიცებულებებია ამ საქმეში. შეიძლება იყოს ცნობა, შეიძლება ვინმე რამეს ამბობს, მაგრამ თუ მტკიცებულება არ არის, მაშინ ვერც ახალი და ვერც ძველი პროკურორი ფოკუსს ვერ მოახდენს, ამიტომ ვამბობ, რომ მტკიცებულებები უნდა იყოს, ასევე უნდა მოხდეს გამოძიება, უნდა მოიძებნონ მოწმეები და ა.შ.

***– ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ მას აქვს მესიჯები და ზარები, რომელთა გასაჯაროებისკენ მას მანანა კობახიძე მოუწოდებს.***

– პროკურატურა თვითონ გაერკვევა, რა უნდა ქნას. ვნახოთ, ყველაფერი გამოჩნდება.

***– როგორც ელისაშვილი ამბობს,***

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## მალხაზ ველიჯანაშვილი: „პროკურატურის თანამშრომელმა საიდუმლო ინფორმაცია გასცა“

– პასუხისმგებლობა ეკისრება პროკურატურის თანამშრომელს, რომელმაც საიდუმლო ინფორმაცია გასცა. ირინა ცააძე და ნინო ხვიტიას კანონი არ დაურღვევიათ და გამოძიება უნდა დაიწყოს იმ პირის მიმართ, ვისგანაც




გამჟღავნდა, რომ ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმის ორ მოწმეს სახელი და გვარი შეეცვალა და ქვეყანა დაატოვებინეს, – ამის შესახებ ხვიტიასა და ცააძის ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა პროკურატურაში ირინა ცააძისა და ნინო ხვიტიას დაკითხვაზე შესვლამდე განაცხადა.

ირაკლი ფირცხალავას მეუღლე და გიორგი ცააძის და აცხადებენ, რომ მათ პროკურატურიდან მიიღეს ინფორმაცია, რომ 2 მოწმეს სახელი და გვარები შეუცვალეს და ქვეყანა დაატოვებინეს.

მათი განცხადებით, ესენი არიან „ცრუ მოწმეები, რომლებიც ჩვენებაში აღნიშნავენ, რომ დაინახეს, როგორ ისროლეს ცააძემ და ფირცხალავამ სპეცოპერაციის ადგილას“.

როგორც მალხაზ ველიჯანაშვილმა აღნიშნა, არც ირინა ცააძემ და არც ნინო ხვიტიამ არ იცოდნენ, იყო თუ არა საიდუმლო ინფორმაცია, რომ ორ მოწმეს სახელი და გვარი შეეცვალათ.

**მალხაზ ველიჯანაშვილი:**

– საიდუმლო ინფორმაცია უნდა დაიცვას იმან, ვისაც ევალება ამის დაცვა და ვინც გაამჟღავნა ეს საიდუმლო ინფორმაცია, იმის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ის, რომ ორ მოწმეს სახელი და გვარი შეეცვალა, კანონი იცნობს ასეთ პრაქტიკას – დაცვის ასეთ ღონისძიება არსებობს.

**ინტერპრესნიუსი**

## ნინო გვენეტაძე: „ზეწოლის ქვეშ არ ვყოფილვარ“



უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე ალეკო ელისაშვილის განცხადებებზე, სადაც ის შეწყალების კორუფციული სქემის შესახებ საუბრობს, კომენტარის გაკეთებას არ აპირებს.

ნინო გვენეტაძის განცხადებით, ის მხოლოდ პოლიტპატიმრების თემაზე დასმულ შეკითხვებს უპასუხებს.

მისი თქმით, როდესაც ის მუშაობდა პოლიტპატიმრებთან დაკავშირებულ სიაზე, თავად არავითარი ზეწოლის ქვეშ არ ყოფილა.

– მე გახლდით მიწვეული ექსპერტის რანგში, სამუშაო ჯგუფში. კონკრეტულად მე არავითარი ზეწოლის ქვეშ არ ვყოფილვარ. ეს იყო ძალიან დატვირთული, შრომატევადი, საპასუხისმგებლო სამუშაო, სადაც ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ სამართლებრივი დასკვნებით და შეფასებებით შემოვიფარგლებოდით. გადაწყვეტილებას იღებდა შესაბამისი კომიტეტი და შემდეგ პარლამენტი, – განაცხადა ნინო გვენეტაძემ.

## ბავარიის მხარის შს მინისტრი საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების წინააღმდეგია

ბავარიის მხარის (გერმანია) შინაგან საქმეთა მინისტრმა იოაჰიმ ჰერმანმა განაცხადა, რომ ევროკავშირმა საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმი არ უნდა შემოიღოს.



მისი თქმით, ევროპამ საკუთარ საზღვრებზე ზრუნვა უნდა დაიწყოს.

მინისტრმა აღნიშნა, რომ უკრაინაში კონფლიქტის დაწყების დროიდან გერმანიაში თავშესაფრის მსურველთა რაოდენობა კატასტროფული სისწრაფით მატულობს: 2013 წელს თუ 141 იყო, 2014-ში 2657-მდე გაიზარდა, 2015-ში კი, როგორც უკვე ჩანს, ეს რიცხვი გაორმაგდება.

– მათგან ძალიან დიდი პროცენტი ბავარიაზე მოდის, ყველას ჩვენთან უნდა ცხოვრება, – აცხადებს მინისტრი.

რაც შეეხება საქართველოს, გერმანელი მინისტრი ზუსტ ციფრებს არ ასახელებს, მაგრამ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების მაინც წინააღმდეგია.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მურმან დუმბაძე ლეონიდ ჩერნოვეცკის უერთდება

## მე ივანიშვილის არც ფინანსური და არც პოლიტიკური ვალი არ მაქვს

შორენა მარსაგიშვილი

წავლენ თუ არა „ქართული ოცნების“ წევრები კიევის ყოფილ მერთან, რატომ შეიყვანა სპეცსამსახურები შეცდომაში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.

***– დაახლოებით ერთი კვირის წინ, როცა ცნობილი გახდა, რომ კიევის ყოფილი მერი ქართულ პოლიტიკაში მოდიოდა, ჩვენ თქვენ დაგიკავშირდით კომენტარისთვის. თქვენ მასთან შესაძლო თანამშრომლობა გამორიცხეთ და გვითხარით, რომ ჩერნოვეცკი შესაძლოა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური პროექტი ყოფილიყო. ახლა ცნობილი ხდება, რომ თქვენ მასთან გაერთიანდით. თქვენც ივანიშვილის პროექტი ხართ ბატონო მურმან?***

– გიდასტურებთ, რომ მართლაც ასე გითხარით და ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. სხვათა შორის, „ახალი თაობა“ პირველი იყო, ვინც ივარაუდა, რომ ჩვენ შესაძლოა გვეთანამშრომლა. მაშინ ეს არ დაგიდასტურეთ, ლეონიდ ჩერნოვეცკი ივანიშვილის პოლიტიკურ პროექტად მოვიხსენიე. ეს ყველაფერი კი სპეცსამსახურების შეცდომაში შეყვანის მიზნით გავაკეთე.

***– სპეცსამსახურები რა შუაშია?***

– სამწუხაროდ, 21-ე საუკუნეში საქართველოში ისევ აქვს ადგილი ფარულ თვალთვალსა და მიყურადებებს. სხვა პოლიტიკოსების მსგავსად, ჩემი სატელეფონო საუბრებიც ისმინება და გადავწყვიტე, მათი მიყურადება სხვა მახარეს გადამეტანა. „ქართული ოცნება“ პირობას დებდა, რომ ფარულ მოსმენებს მოსპობდა, სამწუხაროდ, მათ დაპირება არ შეასრულეს.

ლეონიდ ჩერნოვეცკიმ 5 დეკემბერს დააანონსა პარტიის შექმნის თაობაზე. ამ განცხადებიდან მესამე დღეს ჩვენ შორის ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყო და შეხვედრაც შედგა.

***– ვისი ინიციატივით შედგა ეს შეხვედრა?***

– შეხვედრა ლეონიდ ჩერნოვეცკის ინიციატივით შედგა.

***– შეგიძლიათ გვითხრათ, რაზე შეთანხმდით?***

– პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ ჩვენ ვიქნებით საინიციატივო ჯგუფის სადავეებთან, რომელიც პარტიის სადამფუძნებლო ყრილობას მოამზადებს. ამ პარტიის სახელი იქნება „ბედნიერი საქართველო“.

***– განაცხადეთ, ჩვენ საინიციატივო ჯგუფის სადავეებთან ვიქნებითო. ვინ იქნება კიდევ თქვენთან ერთად იქ, შეგიძლიათ გვარების დასახელება? ოღონდ გულწრფელად გვითხარით და სპეცსამსახურები სხვანაირად შეიყვანეთ შეცდომაში.***

– გარკვეულ პიროვნებებთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ჩვენ შევთანხმდით, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას ლიდერი მიიღებს. ასე რომ, მე არავის ვინაობას არ დავასახელებ.

***– საბოლოო გადაწყვეტილებას თავად მიიღებსო და ასე კარგად იცნობს ქართულ პოლიტიკას?***

– საქართველოში ის დიდი ხანი არ არის რაც ცხოვრობს, მაგრამ აქაური ამბები კარგად იცის. თან მას უახლოეს გარემოცვაში ჰყავს ისეთი ადამიანები, რომლებიც კარგად არიან ჩახედული ქართულ პოლიტიკაში და გადაწყვეტილების მიღებისას მათ რჩევას გაითვალისწინებს.

***– ამ ადამიანების ვინაობის დასახელება შეიძლება?***

– არც მათ გვარებს არ ვასახელებ. მთავარი ისაა, რომ ახლა ერთად ვმუშაობთ.

***– მათ ვინაობას არ ასახელებთ, მაგრამ ის მაინც გვითხარით, ვისთან მიდის მოლაპარაკებები დეპუტატებთან, ექსპერტებთან, იურისტებთან თუ ეკონომისტებთან?***

– რაიმე სოციალური ფოკუსი



აღებული არა გვაქვს. უბრალოდ გეტყვით, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები. უახლოეს ხანებში ბატონი ჩერნოვეცკი თავად დაასახელებს საინიციატივო ჯგუფის წევრებს. მისი პრეზენტაცია უახლოეს მომავალში გაიმართება.

***– საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებთ?***

– რა თქმა უნდა, ვაპირებთ.

***– არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლები დარჩა, თქვენი აზრით, ჩერნოვეცკის ქართულ პოლიტიკაში შემოსვლა ცოტა ხომ არ დააგვიანდა? მოასწრებთ არჩევნებისთვის მომზადებას?***

– არჩევნებამდე საკმაო დროა დარჩენილი, მაგრამ არც ისე ბევრია, რომ ფართო მასშტაბებზე არ ვიფიქროთ. ბევრს ვმუშაობთ პარტიის ყრილობასა და მხარდამჭერებზე. მუშაობა მიდის საარჩევნო პროგრამაზეც. საჭიროა ეკონომისტების ჩარევა. მათთან უკვე გაიმართა პირველი კონსულტაციები.

ჩერნოვეცკის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე თავისი ხედვები აქვს. მას მიაჩნია, რომ საქართველოს პოტენციალის ქვეყანა ასეთ სიღარიბეში არ უნდა ცხოვრობდეს. მას უზარმაზარი ინფორმაცია აქვს საქართველოს ბუნებრივ რესურსებზე. მისი განვითარების პერსპექტივებზე ბევრს საუბრობს.

***– მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თქვენ „ბედნიერ საქართველოში“ გადადიხართ, „ქართული ოცნებიდან“ თუ შეგეხმიანათ ვინმე?***

– არა შეხმიანებით არავინ შემხმიანებია. სოციალურ ქსელებში ვილაცებმა კი იქილიკეს, მაგრამ პოლიტიკაში დიდი ხანია ვარ და ასეთ რამეებზე რეაქცია აღარ მაქვს. ამ მოქილიკეების გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ჩერნოვეცკი მკვეთრად განსხვავდება საქართველოს ყოფილი პრემიერისაგან.

***– რითი განსხვავდება ის ივანიშვილისაგან?***

– ივანიშვილი იყო დიდი ქველმოქმედი და ის შემთხვევით შემოვარდა პოლიტიკაში. მისგან განსხვავებით, ჩერნოვეცკისთვის პოლიტიკა დამახასიათებელია. ის 4-ჯერ იყო დეპუტატი. ორჯერ მოიგო კიევის მერის არჩევნები. კიევის და საქართველოს მოსახლეობა თანაბარია. ის არჩევნების მოგებას მიჩვეულია.

***– არასდროს წაუგია არჩევნები?***

– ზოგჯერ წაუგია კიდევაც, მაგრამ უფრო ხშირად იგებდა არჩევნებს. აქ მნიშვნელოვანი ისაა, რომ ის პოლიტიკურ ცხოვრებას და საარჩევნო კონკურენციას მიჩვეულია. ის ჩამოყალიბებული პოლიტიკოსია და მასთან საუბარი არ გვიჭირს. რაც ჩემთვის მთავარია.

***– ზემოთ აგვიხსენით, თუ რატომ მონათლეთ ჩერნოვეცკი ივანიშვილის პოლიტიკურ პროექტად, მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ ისინი საერთო ენის გამონახვას ვერ შეძლებენ?***

– ის განცხადება მარტო სპეცსამსახურების შესაცდენად არ გამიკეთებია, იმ მომენტისთვის ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ვისთან მოისურვებდა ის თანამშრომლობას. გია ვოლსკისთვის რომ დაეძახა, ბუნებრივია, ის ივანიშვილის პროექტი გამოვიდოდა.

***– ვოლსკი პირობითად ახსენეთ თუ მასა და ჩერნოვეცკის შორის რაღაც პოლიტიკური ხდება?***

– არაფერი არ ხდება. ვოლსკი პირობითად ვახსენე, მის ადგილას შესაძლოა „ქართული ოცნების“ ნებისმიერი წევრი დამესახელებინა.

***– ისე „ქართული ოცნების“ წევრები თუ შეიძლება ვიხილოთ მის გუნდში? საინტერესოა, რას ფიქრობს მმართველ კოალიციაზე?***

– ვინ შევა მასთან, ამას მომავალში ვნახავთ. რაც შეეხება დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ, მიიჩნევს, რომ ისინი პირობის კარგი შემსრულებლები არ აღმოჩნდნენ. ამის

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# პრეზიდენტმა ალეკო ელისაშვილს პირადი დაცვით სარგებლობა შესთავაზა

პრეზიდენტმა ალეკო ელისაშვილს პირადი დაცვით სარგებლობა შესთავაზა საქართველოს პრეზიდენტმა შეწყალების კომისიის ყოფილ თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილს პირადი დაცვით სარგებლობა შესთავაზა. აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს თავად ელისაშვილმა განუცხადა.



ინფორმაციას ადასტურებენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც, თუმცა შეთავაზების მიზეზს არ აკონკრეტებენ.

არსებული ინფორმაციით, შეთავაზება პატიმრების შეწყალებასთან დაკავშირებით ელისაშვილის ბოლოდროინდელ განცხადებებს უკავშირდება.

**ინტერპრესნიუსი**

# მანანა კობახიძე: „ვითხოვ მტკიცებულებას, რომ ამ საქმეში 200 ათასი მაქვს აღებული“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

***თუ პროკურატურამ ჩაფარცხა ეს საქმე და თავად მოუწია ელისაშვილს ამ საქმის დეტალებზე საუბარი, პოლიტიკურად რამდენად იქნება ეს მომგებიანი ქვეყნისთვის, მმართველი გუნდისთვის?***

– თუ მტკიცებულებები არსებობს, მაშინ საქმეს ვერავინ ჩაფარცხავს. თუ მტკიცებულებები არ არის, რა გინდ მყარად იცოდეს რამე ვინმემ, ვერავინ ვერავის დასჯის. ქვეყანაში მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმპცია. ის ადამიანები, ვისზეც არის დღეს საუბარი, უდანაშაულოები არიან, სანამ სასამართლო ამის საწინააღმდეგოს არ იტყვის. ამიტომ ამას ჩაფარცხვა არ ჰქვია. თუ მტკიცებულებები არის, მაშინ ყველა დამნაშავეს იპოვიან.

***– თუ ეს არ უნდა პროკურატურას და ხელისუფლებას.***

– თუ არ უნდა პროკურატურას, მაშინ დანარჩენი საზოგადოება გულხელდაკრეფილი არ იჯდება. თუ მტკიცებულებები არის, მაშინ ეს მტკიცებულებები ყველასთვის არის. პროკურატურა თუ არ გაითვალისწინებს ამ მტკიცებულებებს, მაშინ ბატონი ალეკო საზოგადოებას მოასმენინებს და საზოგადოება გადაწყვეტს, არის ეს მტკიცებულება თუ არა. თუ არ არის, მაშინ ეს იქნება უბრალოდ პოლიტიკური ხმაური, რომელიც არაფერს მოიტანს.

***– ბატონო ლევან, ეს სკანდალი ხელისუფლების იმიჯზე გავლენას მოახდენს?***

– თუ ეს სკანდალი სკანდალია, თუ არსებობს ამის მტკიცებულება, დიახ, მაშინ მოახდენს, მაგრამ თუ ეს სკანდალი არის მხოლოდ საუბარი, მაშინ ხელისუფლების ავტორიტეტი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს. გააჩნია, რა არის პროკურატურის ხელთ.

თუ ასი პროცენტით დამტკიცდა, რომ ხელისუფლება დამნაშავეებს ხელს აფარებს, მაშინ ეს ხელისუფლების სერიოზულ რყევას და მისი ავტორიტეტის დაცემას გამოიწვევს, მაგრამ რატომ გააკეთებს ამას ხელისუფლება, ვერ ვხვდები, სულელი არავინ არის. ეს არ არის ის ხელისუფლება, რომელმაც ვინმეს და რამეს ხელი გადააფაროს. ეს არ არის სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც მკვლელობებს მალავდა. ამიტომ მე ამ ნაწილში მშვიდად ვარ. დამნაშავე თუ არის, აუცილებლად გამოვლინდება.

* * *

ანასტასია ზაუტაშვილი 2010 წლის ზაფხულს მასშტაბური სპეცოპერაციის შემდეგ დააკავეს. მასთან ერთად სამართალდამცავებმა დააპატიმრეს კიდევ ოთხი ადამიანი: მევლუდ სვანიძე, რომან მუსემიანი, გიორგი ჩეჩელაშვილი და თენგიზ გურჩიანი.

ოფიციალური ინფორმაციით, ისინი კოლუმბიიდან, პერუდან და პანამიდან რეგულარულად იღებდნენ ჯართში დამალულ დიდი ოდენობით კოკაინს ევროპის ბაზარზე გასატანად და ამ საქმეში ჩართული იყო კრიმინალური ავტორიტეტი შაქრო კალაშოვი.

სპეცოპერაციის შედეგად პოლიციამ 60 მილიონი ევროს ღირებულების კოკაინი ამოიღო, დაკავებულებს კი სასამართლომ 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

* * *

ალეკო ელისაშვილი გუშინ პროკურატურამ ისევ დაკითხა.

მან პროკურატურაში შესვლამდე განაცხადა, რომ გამომძიებლებს სატელეფონო შეტყობინებებს გადასცემს, რომელთაც მას კონკრეტული მაღალჩინოსნები ამა თუ იმ პატიმრის შეწყალების მოთხოვნით უგზავნიდნენ.

– გამოძიება ჯერჯერობით ნორმალურად მიდის. დღეს ტელეფონი მოვიტანე, სადაც ისტერიულ მესიჯებს მწერდნენ ხოლმე. დამირეკეს, დაზუსტებითი კითხვები გვინდაო, რაც ძალიან კარგია. მოვედი იმისთვის, რომ რაც დამატებით აინტერესებთ, მივაწოდო ის ინფორმაცია, – განაცხადა ელისაშვილმა.

* * *

გუშინვე დეპუტატები ეკა ბესელია და მანანა კობახიძე პროკურატურაში იმყოფებოდნენ. საგამოძიებო უწყებას დეპუტატებმა მათ ხელთ არსებული ინფორმაცია მიაწოდეს.

– არ ვაპირებ დეტალებზე საუბარს იქამდე, სანამ პროკურატურა არ დაასრულებს ამ საქმეზე გამოძიებას. ჩვენ მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს პროცესს, რომ ბოლომდე გამოკვლეული იყოს ყველა ფაქტი. დეტალებზე არ ვისაუბრებ, რადგან ეს დეტალები პროცესის შემადგენელია. იმედი მაქვს, რომ გამოძიება მალე დასრულდება და არ გაჭიანურდება, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

მისი თქმით, ის დაინტერესებულია, რომ ამ ფაქტების გამოძიება ობიექტურად მოხდეს და ეს განცხადებები გადამოწმდეს.

– მეყოფა გამოცდილება, ნებისყოფა, გამძლეობა და პროფესიული უნარ-ჩვევებიც, რომ ბოლომდე მივიყვანოთ ეს საქმე. ყველაფერს გავაკეთებ, რომ საზოგადოებამ დაინახოს, სად არის სიმართლე და შემდეგ შეაფასოს და გააკეთოს დასკვნა, რასთან გვაქვს საქმე, რა ტიპის პროცესი თუ ავანტიურა არის დაწყებული წინასაარჩევნო კამპანიის დროს, – აღნიშნა დეპუტატმა.

მან თქვა, რომ ინფორმაცია – დოკუმენტური მასალა, რაც კომიტეტს გააჩნდა და გააჩნია ამ საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურას გადასცა.

– მას ეს დაეხმარება, დაინახოს რეალობა, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

მანანა კობახიძემ კი დაადასტურა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაკავებული პირების შეწყალებას ნამდვილად ითხოვდა.

– მე ვიყავი კოკაინის საქმეზე დაკავებული პირების ადვოკატი 2011 წელს სააპელაციო სასამართლოსა და შემდეგ უზენაეს სასამართლოში. საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმე გახლდათ. დიახ, ამ ადამიანების შეწყალებას ნამდვილად ვითხოვდი, რადგან დღესაც ვფიქრობ, რომ პატიმრობაში სერიოზული საპროცესო დარღვევებით იმყოფებიან. ჩვენებები მოწმეებზე ზეწოლით მოიპოვეს და ზოგადად, ბევრი სამართლებრივი კითხვაა პასუხგაუცემელი, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

მისი თქმით, ანასტასია ზაუტაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულია, თანაც მას სამი შვილი ჰყავს, რაც ქმნიდა საფუძველს, რომ შეწყალების კომისიისთვის მიემართათ.

– შესაძლოა, ალეკო ელისაშვილთან ოფიციალური განცხადებების გაგზავნის შემდეგ, მოვიკითხე, რა ეტაპზე იყო საქმის განხილვა და ისიც შესაძლოა, ელისაშვილს ვთხოვე, საქმე თაროზე არ შემოედოთ. გაასაჯაროოს ელისაშვილმა სატელეფონო ზარების შინაარსი. დიახ, მე დავრეკავ ყველასთან საჩივრის ბედის შესახებ, ვისთანაც ოფიციალური მოთხოვნა მაქვს გაგზავნილი. ეს ეხება სამინისტროებსაც და პროკურატურასაც. ეს არ ნიშნავს, რომ ვინმესთან დაჟინებული მოთხოვნა მქონდა. უსინდისობაა, თუ ალეკო ელისაშვილი ამას ასე აღიქვამს. ახლა მე ვითხოვ იმის მტკიცებულებას, რომ ამ საქმეში 200 ათასი მაქვს აღებული, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ალეკო ელისაშვილი ნაციონალების ინტერესს ატარებს“

## შალვა ხაჭაპურიძე: „სოფლის ორღობეში რომ ჭორიკანა კაცები არიან, ზუსტად ისე იქცევა“

ნონა ცაბაძე

ალეკო ელისაშვილის განცხადებებით გამოწვეული აჟიოტაჟი დღემდე არ ცხრება. ბევრი მას ცრუ ინფორმაციის გავრცელებასა და შეწყალების პროცესის დისკრედიტაციაში ადანაშაულებს.

– გასაოცარი განცხადებები მესმის ელისაშვილისა და ქორიძისგან. თურმე გარკვეული პოლიტიკური პირები, მაღალჩინოსნები და ადვოკატები, ავლენდნენ განსაკუთრებულ ინტერესს ამა თუ იმ შესაწყალებელი პირის მიმართ. ამ ისტერიკას წინ უძღოდა პატრიარქის განცხადება, რომელმაც ემოციურ ფონზე თქვა ის, რაც თქვა, – ამბობს ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე „ახალ თაობასთან“ საუბარში.

***– ამ ორ საკითხს ერთმანეთთან რაიმე კავშირი აქვს?***

– რატომღაც პატრიარქის ეს განცხადება მარტო ამ ნაწილში იქნა გააზრებული და შეწყდა ამაზე ლაპარაკი, თუ რატომ თქვა ეს ყველაფერი. დავიწყოთ იქიდან, როდესაც პატრიარქი აცხადებს, რომ კარგი იქნებოდა თუ პატრიარქსაც ექნებოდა შეწყალების უფლება, გასაგებია, რომ დღევანდელი კონსტიტუციიდან გამომდინარე, ეს მიზანშეწონილი არ არის. თუმცა პატრიარქმა ეს განცხადება შემთხვევით არ გააკეთა.

***– რას გულისხმობთ?***

– ამას კიდევ ერთი განცხადებაც დაემთხვა, ბატონმა პრემიერმა კახა კახიშვილს მთავრობის სხდომაზე უთხრა, დადგა დრო, გამოათავისუფლო საკნებიო. არსებობენ ე.წ. ჩარჩენილი პატიმრები.

***– რა იგულისხმება ამ ე.წ. ჩარჩენილებში?***

– ეს ადამიანები არიან გასამართლებული ნაციონალური მოძრაობის დროს, ისეთ მუხლებზე და ისეთი მტკიცებულებებით, რაზედაც დღევანდელ



სასამართლოებს გამამართლებელი განაჩენები გამოაქვთ. ამ ტიპის ადამიანები დღესაც ციხეებში არიან და დარჩენილი აქვთ 10, 12, 25 და ზოგს სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. გამოდის, რომ შეწყალების კომისია ეფექტურად ვერ მუშაობს.

***– შეწყალების კომისია ხომ ვერ შეუცვლის მუხლებს?***

– დიახ, მე მათიც მესმის, ქორიძემ განაცხადა, რით ვერ შეიქმნა ეს ხარვეზების აღმოსაფხვრელი კომისიაო. მოჯადოებული წრე იქმნება. შედიხარ სასამართლოში და ის ახლად გამოვლენილ გარემოებებს ითხოვს, შედიხარ შეწყალების კომისიაში და ქორიძემ გააკეთა განცხადება, ადვოკატები არაჯანსაღ ინტერესებს ავლენენო. რას ნიშნავს არაჯანსაღი ინტერესი?! მივიდა რომელიმე ადვოკატი და უთხრა: აჰა, შენ ფული და გამოუშვი ეს ადამიანიო?! ეს ხომ გამორიცხულია!

***– ანუ ადვოკატს არ აქვს შეწყალების კომისიაში მისვლის უფლება?***

– თურმე არა! აბა, შეწყალების მოთხოვნით რომ მივდივართ, სხვაგან სად უნდა წავიდეთ?! ადვოკატს საადვოკატო საქმიანობასაც უკრძალავენ?! ახლა კიდევ გაჰყვირიან, ბესელიამ დაგვირეკა და მანანა კობახიძემო. დიახ, უნდა დაერეკათ! დიახ, მესიჯიც უნდა მიეწერათ! ისტერიკები რომ აქვს დამართული ელისაშვილს, უკაცრავად და რა თანამდებობა უკავია ეკა ბესელიას? ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე არ არის?!

***– თქვენ თვლით, რომ უნდა დაერეკა?***

– მის პირდაპირ მოვალეობაში შედის სწორედაც ასეთი საქმიანობა. რომც დაერეკა, არაფერი დაშავდებოდა. თურმე ელისაშვილს ყურში უთხრეს, მაგაზე მილიონებია გადახდილიო. ასეთი იცით, რამდენი ზღაპარი დადის ქალაქში?! დავსხდეთ და ვიტლიკინოთ?! გავქანდი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, მერე აქეთ გამოვქანდიო, ყვებოდა ტელევიზიით, რას მიქანდები და მოქანდები, დაწერე მოხსენება და შეიტანე პროკურატურაში. მერე კიდევ ერთი გასაოცარი განცხადება გააკეთა ელისაშვილმა.



***– რომელ განცხადებას გულისხმობთ?***

– ამას ყურადღება არავინ მიაქცია. როდესაც იძახის: მე შევედი პროკურატურაში, იქ შევხვდი ნიკა სანიკიძეს, იქ სამი პირი ვიყავითო, მერე მე დავრჩი გენპროკურორის მოადგილის კაბინეტში და იმან ამიყვანა ბადაშვილთანო. ახლა ეს რანაირი სიგიჟეა, იცით?

***– რა არის ამ განცხადებაში სიგიჟე?***

– მთავარი პროკურორი ბადაშვილი ზის ორთაჭალაში და ნიკა სანიკიძე არის ვაკე-საბურთალოს პროკურორი და ზის დიღომში. შენობებიც კი აერია ელისაშვილს. ვერანაირად ვერ შეხვდებოდა იქ სანიკიძეს, ის ზის დიღომში და მაშინ დიღომში ბადაშვილს რა უნდოდა? ბადაშვილის კაბინეტი იყო ორთაჭალაში. სერიოზულად ურევს ეს კაცი.

***– ელისაშვილი ტყუის?***

– ეს არის მიზანმიმართული კამპანია! მიდის მიზანმიმართული მუშაობა იმისთვის, რომ დასუსტდეს სახელმწიფო მექანიზმები. ამის უკან დგანან გარკვეული ძალები.

***– კერძოდ ვინ?***

– არ იცით, ვინ?! ის ძალები, ვისაც უნდა ამ ხელისუფლების დამხობა და მოშორება.

***– ანუ ნაციონალები? ბევრს არ სჯერა, რომ ელისაშვილი ნაციონალების თამაშს თამაშობს.***

– მე ვერ გეტყვით, ეს ელისაშვილმა იცის თუ უბრალოდ მათ ანკესზე წამოეგო. ფაქტი ერთია, რომ ელისაშვილი მათ ინტერესს ატარებს! შეწყალების კომისიაში ბევრი რეკავს, ზოგი მიდის იმიტომ, რომ აინტერესებს, შეეხება თუ არა მის პატიმარს შეწყალება და ეს არის დანაშაული?! გამწარებულია ხალხი, უდანაშაულოები ლპებიან ციხეებში და თურმე ადვოკატს შეწყალების კომისიაში მისვლის უფლებაც არ ჰქონია!

***– ნარკომოვაჭრის გვარს ასახელებენ, რომელსაც ორი კილოგრამი ჰეროინი ამოუღეს და სწორედ ასეთი პატიმარი შეიყვანა ბესელიამ პოლიტპატიმართა სიაშიო. ამაზე რას იტყვით?***

– მე იმდენი შემთხვევა შემიძლია დაგისახელოთ, რომ ჩაუდეს... ვუსმენდი ტელევიზიით, როგორ შეიძლება ორი კგ ნარკოტიკი ჩაუდო ადამიანსო, ორი კილო კი არა, ბონდო შალიკიანი რომ დაიჭირეს, გრანატამიოტიც ჩაუდეს. იქ დაუდეს, სადაც ბავშვების ფეხსაცმელი ეწყო. ესენი რატომ ავიწყდებათ? რამდენი შემთხვევაც გინდათ, იმდენს დაგისახელებთ, ავტომატებს და ლიმონკებს ბალიშის ქვეშ რომ უდებდნენ და ორი კილოგრამი ნარკოტიკის ჩადება გაუჭირდებოდათ?!

***– საბოლოოდ იმის თქმა გინდათ, რომ ელისაშვილი და ქორიძე ერთი და იგივე ინტერესს ემსახურებიან?***

– მე არ ვიცი, რას ემსახურებიან,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## იოჰანეს ჰანი: „საქართველოსა და უკრაინაზე მომზადებული ანგარიშები პოზიტიური იქნება“



საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, ევროკომისარმა იოჰანეს ჰანმა ბრიუსელში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტერიალზე ჟურნალისტებს განუცხადა.

– საქართველოსა და უკრაინაზე მომზადებული ანგარიშები და რეკომენდაციები პოზიტიური იქნება და წარვუდგენთ წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციებთან ერთად. ამის შემდეგ გადაწყვეტილება წევრი სახელმწიფოების მისაღებია. სავარაუდოდ, რამდენიმე თვე დასჭირდება, მაგრამ პოზიტიურ გზაზე ვართ, – აცხადებს ჰანი.

ევროკომისია ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს შესახებ ანგარიშს გამოაქვეყნებს. ანგარიშში წარმოდგენილი იქნება შეფასებები, თუ რამდენად წარმატებით შეასრულეს საქართველომ და უკრაინამ სავიზო რეჟიმის გაუქმებისთვის აუცილებელი პირობები.

ინტერპრესნიუსი

## პატიმარი უარყოფს, რომ მას ციხეში დაზიანება მიაყენეს



გეგუთის მე-14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარი ზ. ჭ. მოინახულეს, რომელიც გავრცელებული ინფორმაციით ნაცემია.

სახალხო დამცველის წარმომადგენლის გიორგი ლაბაძის თქმით, პატიმარი უარყოფს, რომ მას დაზიანება ციხის ადმინისტრაციამ ან პატიმარმა მიაყენა.

– მედიაში გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ, სახალხო დამცველის წარმომადგენლები გეგუთის ციხეში ვიყავით. პატიმარმა გვითხრა, რომ საკანში წაიქცა და სახეზე მცირე დაზიანება მიიღო. ის კატეგორიულად უარყოფს ვინმეს მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას, – აღნიშნა გიორგი ლაბაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

პატიმარ ზ. ჭ-ს ოჯახის წევრები აცხადებდნენ, რომ გეგუთის ციხეში მათ ახლობელს ე.წ. მაყურებელი მ. ჩ. ფიზიკურად გაუსწორდა.

ინტერპრესნიუსი

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთა-



მის აღებაში დახმარების ფაქტზე მოქალაქე ჯიმშერ მ. დააკავეს

გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯიმშერ მ-მ სოფლის მეურნეობის პროდუქტის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ ცნობის გაცემის სანაცვლოდ მოხელისათვის ქრთამის სახით გადასაცემად 800 აშშ დოლარი აიღო.

გამოძიება ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

## ბერი გაბრიელის გამზირზე ექიმი მოკლეს



ბერი გაბრიელის გამზირზე, გამოძახებაზე მისული, ექიმი მოკლეს, რომელიც მკვლელობაში ეჭვმიტანილის ოჯახთან ახლობლობდა.

– ბრალდებულს ახასიათებს ფსიქიკური აშლილობა და დღეს ჰქონდა შეტევა, რა დროსაც ოჯახის წევრებმა დასახმარებლად ოჯახის ახლობელ ექიმს დაურეკეს, რომელიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მუშაობს.

ის თანამშრომელთან ერთად მივიდა ადგილზე, რა დროსაც ბრალდებულმა ორივეს ესროლა. ოჯახის ახლობელი ექიმი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო მეორე ექიმი დაიჭრა, – აცხადებენ მკვლელობის ადგილზე.

გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნულის შემდეგ მკვლელობაში ეჭვმიტანილი ოთახში ჩაიკეტა, თუმცა კარი სპეცრაზმმა შეამტვრია და დააკავა.

დაკავებისას მან პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც ფეხში მსუბუქად დაიჭრა. ორივე დაჭრილი ინგოროყვას კლინიკაშია გადაყვანილი.

შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები და კრიმინალისტები ამ დრომდე მუშაობენ.

ინტერპრესნიუსი

## ცესკოში პროკურატურა მუშაობს




ცესკოში პროკურატურა მუშაობს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პროკურატურა მუშაობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარ პროკურატურაში განუცხადეს, აუდიტის დასკვნის საფუძველზე დაწყებულია გამოძიება.

არსებული ინფორმაციით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნის საფუძველზე დაწყებული გამოძიება ცესკოში ფინანსურ დარღვევას უკავშირდება.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პროკურატურა რამდენიმე დღის წინ შევიდა.

ინტერპრესნიუსი

# სოსო ჯაჭვლიანი: „რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებში ხელისუფლება არ ერევა“

## კახა კალაძე: „რაგბი არ მაინტერესებს, ლენტების ბიზნესი მაქვს“

შორენა მარსაგიშვილი

კვირას, 20 დეკემბერს, რაგბის კავშირის არჩევნები გაიმართება. არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, ამ მიმართულებით სერიოზული სკანდალი აგორდა. რაგბის კავშირის გამგეობამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, სადაც საუბარია, რომ არჩევნებში გარე პირები ერევიან და ისინი საკმაოდ გავლენიანი პირები არიან.

სარაგბო და არასარაგბო წრეებში გავრცელებული ინფორმაციით, ამ პროცესში ვიცე-პრემიერი კახა კალაძეა ჩართული.

„ქართული ოცნებისთვის“ ამ არჩევნების შედეგი სულ ერთი არ არის, რადგანაც რაგბის კავშირის პრეზიდენტისთვის საქართველოს ნაკრების ექს-კაპიტანი ირაკლი აბუსერიძეც იბრძოლებს. ეს უკანასკნელი ახლა თბილისის საკრებულოს დეპუტატია.

მისი კონკურენტი კი რაგბის კავშირის მოქმედი პრეზიდენტი გია ნიჟარაძე იქნება. გავრცელებული ინფორმაციით, მეოცნებეები მასზე ზეწოლას ახორციელებენ.

რაგბის კავშირის გამგეობა აცხადებს, რომ ზოგიერთი თანამდებობრივად გავლენიანი გულშემატკივრის და სხვა გარეშე პირების მხრიდან უკვე შეიმჩნევა მისთვის სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ საკუთარი გავლენის გამოყენების მცდელობა.

მათივე შეფასებით, ჩარევა ქმნის სახიფათო პრეცედენტს პატიოსანი თამაშის წესების საწინააღმდეგოდ.

გამგეობის მიერ გავრცელებულ განცხადებაში დაკონკრეტებული არ არის, თუ ვისი მხრიდან ან რომელი კანდიდატის სასარგებლოდ ხდება ჩარევა. რაგბის კავშირის გამგეობაში განმარტავენ, რომ ცალკეული თანამდებობის თუ გარეშე, ზედმეტად ეგზალტირებული პირებისაგან ყველა მცდელობა, მოახდინონ





პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზეწოლა რაგბის კავშირის ნამდვილ წევრზე, იქნება საჯაროდ მხილებული.

სარაგბო სკანდალს თავისებური პეწი შესძინა სკანდალების დედამ ელისო კილაძემ. მისი მტკიცებით, ამ არჩევნებში კახა კალაძე ერევა.

როგორც კილაძემ „პირველ რადიოს“ განუცხადა, კახი კალაძემ მოქმედ პრეზიდენტს „ურჩია“, აღარ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, რაც კილაძის თქმით, ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას საკუთარი კანდიდატი ჰყავს.

ამ თემაზე კომენტარის გაკეთება დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანსაც მოუწია, რომელიც პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტს წარმოადგენს.

ჯაჭვლიანი არ გამორიცხავს, რომ რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით ვინმეს ჩარევის სურვილი ჰქონდეს. ამასთან ის დარწმუნებულია, რომ რაგბისტების საქმეებში ვერავინ ჩაერევა.

მისი თქმით, კავშირში თავად ჩაატარებს არჩევნებს.

– რაგბის კავშირის საქმეებში ვერავინ ჩაერევა. ფედერაციას თავისი კომიტეტი ჰყავს, ჩაატარებენ არჩევნებს და აირჩევენ იმას, ვისაც კომიტეტი მოიწონებს. მე რომ მყავს ფავორიტი, ეს მე ვიცი. ვერ ჩავერევი მათ საკითხში, – განუცხადა ჟურნალისტებს ჯაჭვლიანმა.

მისი მტკიცებით, მას შემდეგ რაც ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნება“ მოვიდა, სპორტული ფედერაციების არჩევნებში არავინ ჩარეულა.

– ჩვენ არც ერთი ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში არ ჩავრეულვართ. ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო, ჭიდაობის ფედერაციაში როდესაც იყო არჩევნები, თქვენ უბრალოდ წარმოიდგინეთ, ეს რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს მომხდარიყო, როგორ ჩატარდებოდა. ამ არჩევნებში გაიმარჯვა იმან, ვინც გაიმარჯვა, ამ დროს ლუკა კურტანიძე იყო ჩვენი გუნდის წარმომადგენელი, – აღნიშნა დეპუტატმა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი რაგბის კავშირის არჩევნებში ხელისუფლების რაიმე ფორმით ჩარევას გამორიცხავს.

მისი თქმით, რაგბის კავშირის განცხადება შესაძლოა მხოლოდ კონკრეტულ პირებს ეხებოდეს.

– ეს განცხადება არის იმ ხალხისთვის, ვისაც შესაძლოა ასეთი სურვილი ჰქონდეს. სახელმწიფოსგან ჩარევაზე არ არის ლაპარაკი. სახელმწიფო მხოლოდ პოზიტიური კუთხით თუ ჩაერევა – დახმარების სახით. სახელმწიფოს მხრიდან არჩევნებში გამორიცხულია სხვა რაიმე ტიპის ჩარევა, – განაცხადა ხეჩიკაშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან საუბრისას.

სარაგბო ალიაქოთს წარსულში ფეხბურთელი და ამჟამად ვიცე-პრემიერი კალაძეც გამოეხმაურა.

ის ამტკიცებს, რომ მას რაგბი, როგორც ასეთი, არ აინტერესებს.

– რაგბი არ მაინტერესებს, სამხატვრო ტანვარჯიშში ხომ იცით, აი იმ ლენტების ბიზნესი მაქვს და ის მაინტერესებს უფრო, – განაცხადა ოხუნჯმა კალაძემ.

* * *

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ბევრ მეოცნებეს რაგბი მართლა არ აინტერესებს და ვერ აუხსნიათ, რატომ აქვს კვერცხის ფორმა იმ ბურთს, რომლითაც რაგბისტები თამაშობენ. მათი ინტერესი ის თანხებია, რომელიც რაგბისთვის არის გამოყოფილი.

# მურმან დუმბაძე ლეონიდ ჩერნოვეცკის უერთდება

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მიუხედავად, ის „ქართული ოცნების“ ქილიკ-კრიტიკით საარჩევნო ქულების დაწერას არ აპირებს. ის არც სხვა პარტიებზე აპირებს აუგის თქმას. მისთვის მთავარი საკუთარი პარტიის პროპაგანდა იქნება.

***– ამბობთ, არავისზე აუგის თქმას არ აპირებსო. საინტერესოა, როგორც ახსნით მის პირობას, ვინც მეგიზ ქარდავას დაიჭერს, 150.000 დოლარით დავაჯილდოვებო. ქარდავა ნაცმოძრაობის წარმომადგენელი იყო. ეს არ არის ნაცმოძზე აუგის თქმა?***

– ამ პირობასთან დაკავშირებით მე მქონდა მასთან საუბარი და მითხრა, რომ ეს შემთხვევითი სიტყვები არ არის. „ბედნიერი საქართველო“ ღიაა ყველასთვის. ჩვენს რიგებში მხოლოდ ისინი ვერ მოხვდებიან, ვინც სხვა ადამიანებს აწამებდა და არბევდა. მწვალებლების ადგილი, ჩერნოვეცკის აზრით, ციხეშია და ამიტომაც დადო ასეთი პირობა ქარდავასთან დაკავშირებით.

***– არის ეჭვები, რომ ის მიხეილ სააკაშვილთანაც არის კავშირში. სხვა თუ არაფერი, ჩერნოვეცკი მისი პრეზიდენტობის დროს ჩამოვიდა საქართველოში?***

– ამ თემაზეც ვესაუბრე მას. როგორც მითხრა, სააკაშვილს იცნობს და მასთან რამდენიმე შეხვედრაც ჰქონდა. ოღონდ ეს წლების წინ იყო. საქართველოს ის სააკაშვილის გაპრეზიდენტებამდე ბევრად ადრე იცნობდა. მისი ყოფილი მეუღლე ქართველია და მისი შვილებიც ქართული წესით არიან გაზრდილნი. მეგონა, რომ მას ბევრი რამე არ ეცოდინებოდა, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ძალიან კარგად იცნობს საქართველოს.

***– საქართველოს, შესაძლოა, კარგად იცნობს, მაგრამ მას ნაკლებად იცნობენ საქართველოში. მას ყველაზე უკეთ აჭარაში იცნობენ, თქვენც ამ კუთხიდან ხართ და ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „ბედნიერი საქართველოს“ მთავარი სამოქმედო არეალი აჭარის რეგიონი იქნება?***

– ეს შეკითხვა ხშირად ისმის. მინდა გითხრათ, რომ მარტო აჭარა არ იქნება ჩვენი სამოქმედო არეალი. აჭარაში პოპულარობით ვსარგებლობთ, მაგრამ ეს არ გვაკმაყოფილებს და გვინდა მთელი ქვეყნის მასშტაბით ასე იყოს.

***– თქვენ იყავით „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ახლა ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი იქნებით. არ გრძნობთ თავს უხერხულად იმის გამო, რომ ყოფილ თანამებრძოლებს უნდა დაუპირისპირდეთ?***

– გეთანხმებით, რომ ეს უხერხულია მომენტია. პოლიტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ასე ხშირად ხდება. ჩემზე ათასჯერ დიდი პოლიტიკოსები წასულან სხვაგან, რადგანაც საკუთარ გუნდში მისი არ ესმოდათ. ჩემ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ბიძინა ივანიშვილის დიდი შეცდომა ის არის, რომ 2012 წლის არჩევნები მოიგო ერთი მხარით, ხოლო ქვეყნის მართვა დაიწყო მეორე მხარით. მეორე მხარეში ვგულისხმობ იმ ადამიანებს, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილი, ან მარბიელები იყვნენ.

მარბიელების დაწინაურება კატეგორიულად მიუღებელია. ყოფილ პრემიერს 2012 წლის 1 ოქტომბერს ვუფასებ და მიმაჩნია, რომ მან უდიდესი საქმე გააკეთა. სამაგიეროდ, არ ვუფასებ 2012 წლის 2 ოქტომბერს.

***– 2 ოქტომბერს რა ჩაიდინა?***

– 2 ოქტომბრიდან მან იმ ადამიანების რეანიმირება დაიწყო, რომლებიც ყველა ხელისუფლების მიმართ მლიქვნელური დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ. აჭარის რეგიონში თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც გამგებელს და ვერც მერს, რომელიც სააკაშვილის მხარდამჭერი არ იყო. ასეთ გუნდში მუშაობა ძალიან ძნელია.

***– და ახლა სუფთა სინდისით უპირისპირდებით „ქართულ ოცნებას“?***

– ჩემი სინდისი ამ მხრივ ძალიან სუფთაა. მე ივანიშვილის არც ფინანსური და არც პოლიტიკური ვალი არა მაქვს.

***– თქვენს გადაწყვეტილებას ასეთი შეფასებაც შეიძლება მოჰყვეს, რომ ერთი მილიარდერიდან გაიქეცით და მეორესთან წახვედით.***

– ვიღაცამ შესაძლოა ასეც იფიქროს, მაგრამ ასე არ არის. მილიარდები და კარგი ცხოვრება რომ მდომებოდა, ივანიშვილთან დავრჩებოდი. მე იმ ადამიანების გვერდით დგომა მინდა, ვისაც ნამდვილად უყვარს საქართველო.

***– ასეთად ჩერნოვეცკი მიგაჩნიათ?***

– მას წარმოუდგენლად უყვარს საქართველო. ეს ჯერ კიდევ მაშინ დაამტკიცა, სანამ აქ ჩამოვიდოდა.

***– რითი დაამტკიცა?***

– კიევის მერობის დროს მან უკრაინის დედაქალაქს შოთა რუსთაველს ძეგლი დაუდგა. ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ მან გიორგი ღონღაძეს მემორიალი დაუდგა. ჩერნოვეცკიმ საქართველოს ხელისუფლებას უფასოდ გადასვა მიწა, სადაც აშენდა ჩვენი საელჩო. ჩვენ ვამბობთ უფასო მიწა, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ამ მიწაში ჩერნოვეცკიმ გადაიხადა ფული. ეს ყველაფერი ძალიან ბევრს ნიშნავს და იმედი მაქვს, რომ მართლაც შევძლებთ საქართველოს გაბედნიერებას.

***– დღეს ყველა მესამე ძალის მოლოდინშია. შეძლებს „ბედნიერი საქართველო“, იყოს მესამე ძალა?***

– თუ ვიტყვი, რომ მესამე ძალა გავხდებით, ეს ჩემი მხრიდან ტრაბახი იქნება. ეს ყველაფერი საქართველოს მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს.

***– თქვენ ხშირად აღნიშნავთ ხოლმე, რომ ძალიან ბევრ ხალხს ხვდებით. ამ გადაწყვეტილებაზე რას გეუბნებიან?***

– ხალხმა მომიწონა გადაწყვეტილება. ზოგმა პირადად მითხრა, ზოგმა მესიჯი მომწერა. მიხარია, რომ ყველა იწონებს ჩემს გადაწყვეტილებას.

***– 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ნაციონალური მოძრაობა კარგად მიაწყევლეთ. ვინც 5 ნომერს შემოხაზავს, მარჯვენა გაუხმესო. 2016 წლის არჩევნებისთვის რაიმე მსგავსი სლოგანი ხომ არ გაქვთ მოფიქრებული?***

– ასეთი სლოგანის წინასწარ მოფიქრება შეუძლებია. ასეთი რამე ხალხთან შეხვედრის დროს მოგდის ადამიანს თავში. რამე იდეა აუცილებლად მომივა. მანამდე თქვენი გაზეთისთვის ექსკლუზიურად ვიტყვი, წყეულიმც იყოს, ვინც 41 ნომერი შემოხაზოს. ოღონდ ამას სმაილიკი მიახატეთ, ან სხვა რამით აღნიშნეთ, რომ ვიხუმრე, თორემ უბრალოდ „ოცნება“.

# „ალეკო ელისაშვილი ნაციონალების ინტერესს ატარებს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მაგრამ, როგორც ჩანს, კარგად არ აქვთ გაცნობიერებული თავიანთი ფუნქციები! ის, რომ ბესელიამ ან კობახიძემ დაურეკოს, ან მესიჯი მისწეროს, რა მერე?! ზუსტად მათ ფუნქციებში შედის. აბა, ვისი უფლებები უნდა დაიცვას ბესელიამ, თუ პატიმრის არა?! ვისი, ელისაშვილის?! მანანა კობახიძე კი წლების განმავლობაში ადვოკატი გახლდათ და მშვენივრად იცის, ვინ იყო პოლიტპატიმარი და ვინ არა. ან ეს ელისო კილაძე რომ ლაპარაკობს ამდენს, არ იცის, რა ხდებოდა? არ იცის, ჩადება პრობლემას რომ არ წარმოადგენდა წინა ხელისუფლებისთვის?! კილაძის მეგობარი რომ დააკავეს, მხოლოდ სურათი წარმოადგინა პროკურატურამ სასამართლოზე მტკიცებულებად და სწორედ მანანა კობახიძე იყო იმ პირის ადვოკატი. რა არის ეს, რა დამოკიდებულებებია?!

***– ელისო კილაძე ნანა კაკაბაძეს და გელა ნიკოლაიშვილს ედავება, შეწყალების კომისიის წევრობა გინდოდათ და არ გამოგივიდათო.***

– რცხვენოდეს კილაძეს! ეკა გიგაური ხომ არის ამ შეწყალების კომისიის წევრი! რა კარგია, არა?!

***– ცუდი რატომ არის?***

– კარგია, არა? 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ ეკა გიგაურს კაპიტნის წოდება მისცა მერაბიშვილმა და ამნაირი ადამიანი ზის შეწყალების კომისიაში! ან ნახეთ, შეწყალებები როგორ ხდება, ერთი თვე რომ დარჩება კაცს და ორი, მხოლოდ მაშინ უშვებენ გარეთ. რა ჯანდაბად გინდა ეგეთი შეწყალების კომისია?! იმის მაგივრად, რომ რაღაც გამოსავალი მოიძებნოს, უფლებები გაუზარდონ ამ შეწყალების კომისიას და ამის მოთხოვნით გამოვიდნენ, ტალახების სროლა დაიწყეს.

***– საუბარია, ალეკო ელისაშვილს თბილისის მერობა უნდა და პოპულარობას იხვეჭსო.***

– გვინახავს უკვე ასეთი ტრიუკები ელისაშვილის მსგავსი ტიპებისგან. ერთი სააკაშვილი იჯდა საკრებულოში და ვნახეთ, როგორ დარბოდა. მერე იუსტიციის მინისტრი გახდა და სწორედ პატიმრების თემებით აიგორა პიარი. ჩავარდებოდა კოლონიებში, მიარბენინებდა მოსამართლეებს და არიქა, გამოუშვით ეს პატიმრებიო. ეს ნომრები ნანახი გვაქვს, გავლილი გვაქვს და აღარ ჭრის ეს ქართველ ხალხზე! მამა აბრამის ბატკნად ნუ მოაქვს თავი, ვიბრძოდიო.

***– ხომ იბრძოდა?***

– ეგ დეპუტატი მაინც არის და თბილად ზის. ხალხმა იბრძოლა, იომა წინა რეჟიმთან, თავი შეაკლა და დღეს ბევრი მათგანი ქუჩაშია და შიმშილით სული ძვრება! რცხვენოდეს ელისაშვილს! კავკასიაში იჯდა და შერჩევით მიჰყავდა სტუმრები თავის გადაცემაში! ერთი გამახსენოს ვინმემ, რომელი მიჰყავდა რეალური ოპოზიციონერი! სოფლის ორღობეში რომ ჭორიკანა კაცები არიან, ზუსტად ისე იქცევა დღეს ალეკო ელისაშვილი. ჭორაობს და მეტი არაფერი. ეს არ გკადრება!

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ოთარ დანელია: „იბიარდისთვის შეძენილი ავტომანქანების ნაწილი ჩვენს უწყებას გადაეცა“

სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია იბიარდისთვის შეძენილი ავტომანქანებით სარგებლობასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ის ავტოპარკი, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადმოეცა, მისი და მოადგილეების გადაადგილების საჭიროებებს მოხმარდა, ხოლო მაღალი გამავლობის მანქანები სამორიგეო ავტოპარკში გადავიდა, რომლითაც ნებისმიერი თანამშრომელი სარგებლობს.

– მინდა გამოვეხმაურო იბიარდის თემასთან დაკავშირებით განცხადებებს, რომელთა დაკავშირებითაც, სამწუხაროდ, მე ფიზიკურად დროის უქონლობის გამო ვერ გავაკეთე კომენტარი. საერთოდ სასურველია, რომ შინაარსიანად იყოს შესწავლილი ეს მიმართულებები და უხერხულობების თავიდან ასაცილებლად, შემდეგ გაკეთდეს განცხადებები – ის ავტოპარკი, რომელიც გადმოეცა სამინისტროს, მოხმარდა ჩემი და მოადგილეების გადაადგილების საჭიროებებს, ხოლო მაღალი გამავლობის მანქანები გადავიდა სამორიგეო ავტოპარკში, რომლითაც ნებისმიერი თანამშრომელი სარგებლობს, როდესაც რეგიონში გადის, – განაცხადა დანელიამ.

ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ინფორმაციით, 718.000 ლარად იბიარდისთვის შეძენილი 67 ახალი ავტომობილით მმართველი გუნდის წევრები სარგებლობენ, თუმცა მანამდე საკოორდინაციო საბჭოში ამბობდნენ, რომ ახალი ავტომობილები გაიყიდებოდა და თანხა უკან დაბრუნდებოდა.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, ახალი ავტომობილების ნაწილით პარლამენტის კომიტეტების ხელმძღვანელები, ნაწილით კი, სამთავრობო გუნდის წარმომადგენლები სარგებლობენ. მათივე ინფორმაციით, ახალი ავტომობილებით სარგებლობენ მინისტრები და მათი მოადგილეები, მათ შორის, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და მისი მოადგილეები.



# ბანკების ასოციაცია საპოლიციო გამოსახლების მომხრეა

საქართველოში საპოლიციო გამოსახლება გაუქმდა. პარლამენტმა შესაბამისი ცვლილებები მესამე მოსმენით 11 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა.



მიუხედავად ბიზნესასოციაციის, ბიზნესომბუდსმენის, ბანკების ასოციაციის, ასევე არასამთავრობო სექტორის წინააღმდეგობისა, პარლამენტის უმრავლესობამ მაინც დაუჭირა მხარი აღნიშნულ ცვლილებას.

ეს გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოში გაპროტესტდება, სადაც სარჩელის შეტანას ბანკების ასოციაცია გეგმავს.

დამტკიცებული ცვლილებების მიხედვით, პირის საცხოვრებელი ფართიდან გამოსახლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება შესაძლებელი. გაუქმდა ნორმები, რომელთა მიხედვითაც, პირის გამოსახლება-გამოყვანა იძულებით იყო შესაძლებელი.

შესაბამისი ცვლილებები პოლიციისა და სააღსრულებლო წარმოების შესახებ კანონებში შევიდა. საკანონმდებლო ცვლილებები სამოქალაქო და საპროცესო კოდექსებსაც შეეხება.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით ბანკების ასოციაციაში აცხადებენ, რომ მიღებული ცვლილებები ძირეულად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებას.

როგორც „კომერსანტს“ ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ცუცქირიძემ განუცხადა, ისინი აღნიშნულ თემაზე გადიან კონსულტაციებს ასოციაციის იურიდიულ კომიტეტში და უახლოეს მომავალში ამ მუხლს საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

* * *

პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გულისხმობს ე.წ. საპოლიციო გამოსახლების გაუქმებასა და აღნიშნული კომპეტენციის სასამართლოსთვის გადაცემას, რაც მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა.

საქართველოში აღნიშნულ ინიციატივას არაერთი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, განსაკუთრებით საბანკო სექტორიდან.

კანონპროექტის მომხრეების განცხადებით, ბანკების შეშფოთება გამოწვეულია იმით, რომ საპოლიციო გამოსახლების გაუქმების შემდეგ მათ გაურთულდებათ სესხის უზრუნველყოფის სახით ჩადებული უძრავი ქონების რეალიზაცია. ექსპერტებისა და ბიზნესმენების ეს ნაწილი აცხადებს, რომ საპოლიციო გამოსახლების გაუქმება ბანკებს აიძულებს, ორიენტირებულნი იყვნენ არა ჩადებული ქონების რეალიზაციაზე, არამედ საბანკო სერვისებზე ამ სიტყვის ცივილიზებული გაგებით.

**მაია ბუთბაია, კომერსანტ.გე**

# ავტომობილის სპეციალურ სადგომზე გადაყვანა შესაძლოა აიკრძალოს

სპეციალურ ავტოსადგომზე სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანის შესაძლებლობები კიდევ უფრო კონკრეტდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილებები „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შედის, რომლის განხილვაც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე გაიმართა.

საკითხის ინიციატორის, პარლამენტის წევრ სოსო ჯაჭვლიანის ინფორმაციით, მოქმედი კანონიდან ამოდის ჩანაწერი „თუ ქმნის საავარიო სიტუაციას“, რაც „სითი პარკის“ მიერ სატრანსპორტო საშუალების ევაკუირების შესაძლებლობას იძლევა.




მისივე განცხადებით, წარმოდგენილ კანონპროექტს დაემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, „სითი პარკს“ აეკრძალება ავტომობილის სპეციალურ სადგომზე გადაყვანა, თუ ის ამკრძალავი ნიშნის „დგომა-გაჩერება აკრძალულია“ ან „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნას არღვევს, მაგრამ არ აფერხებს საავტომობილო მოძრაობას და არ ქმნის საცობს.

კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას შეფასებით, კომიტეტისთვის მისაღებია წარმოდგენილი ცვლილებები, თუმცა, მისივე განმარტებით, მასში ქვეითად მოსიარულეთა უფლებების დაცვაზე არ არის საუბარი, რაც უფლებრივ დისბალანსს წარმოშობს.

აღნიშნულ კონტექსტში ბესელიამ საკითხის ინიციატორს პროექტში იმ მუხლის დამატების რეკომენდაციით მიმართა, რომელიც ავტომობილის ტროტუარზე გაჩერებისას ქვეითთა გადაადგილების შეფერხების შემთხვევაში, მის ევაკუაციას შეეხება.

ეკა ბესელიას განცხადებით, კანონში აღნიშნული ჩანაწერის გაკეთებით დაცული იქნება ფეხით მოსიარულეთა და განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები.

კომიტეტის ეს ერთადერთი შენიშვნა კანონპროექტის ინიციატორმა სრულად გაიზიარა და პროექტში შესაბამისი ჩანაწერით ასახა. კომიტეტის მხრიდან სხვა შენიშვნა/რეკომენდაცია საკითხის მიმართ არ გამოთქმულა.

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გედევან ფოფხაძის, შეფასებით, კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებები მისთვის სრულიად მისაღებია, რადგან „სითი პარკის“ მოქმედებები მაქსიმალურ ჩარჩოებში უნდა მოექცეს.

– დედაქალაქში „სითი პარკის“ შემოსვლის დღიდან ადამიანის უფლებები ტოტალურად ირღვევა და კომპანია მონსტრ ორგანიზაციად გადაიქცა, რომელიც ზემოგების სანაცვლოდ ქალაქში პარკირების მოწესრიგების უზრუნველსაყოფად ფაქტიურად არაფერს აკეთებს, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

კანონპროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები შინაგან საქმეთა სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმაც გამოთქვეს.

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტს კომიტეტმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

**ბიპიენი**

# იანვარ-ნოემბერში საგარეო ვაჭრობა 14%-ით შემცირდა

მიმდინარე წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 8.892 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.



როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან აცნობეს, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლისაზე 14%-ით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 2.019 მლნ. აშშ დოლარი იყო (23%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი – 6.873 მლნ. აშშ დოლარი (11%-ით ნაკლები).

– უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2015 წლის იანვარ-ნოემბერში 4.854 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 55% შეადგინა, – განმარტავენ საქსტატში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეტალური მონაცემები მიმდინარე წლის 24 დეკემბერს გამოქვეყნდება.

# მთავრობამ 220.450 ლარი გამოყო

ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების აღსანიშნავად მთავრობამ 220.450 ლარი გამოყო.

ამის შესახებ აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის განკარგულებაში, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული.



– საქართველოს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას გამოეყოს 220.450 ლარი, – აღნიშნულია პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერილ განკარგულებაში.

ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ანგარიში დღეს უნდა გამოქვეყნდეს.

ქართული მხარე ევროკომისიისგან პოზიციურ ანგარიშს ელოდება.

# მარჯვენასაჭიანი ავტომობილების გარდა, საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციაც იკრძალება

2016 წლის 1-ელი მარტიდან მარჯვენასაჭიან ავტომობილებთან ერთად, ე.წ. საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაციაც იკრძალება. ეს აკრძალვა ავტომობილების გარდა, ასეთი ტიპის ავტობუსებსაც შეეხება.

ამას მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი ითვალისწინებს, რომელიც პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

პროექტის მიხედვით, 2016 წლის 1-ელი მარტის შემდგომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი/შემოყვანილი ავტობუსი ან მსუბუქი ავტომობილი, რომელსაც საჭე აქვს მარჯვენა მხარეს, ან რომლის საჭეც გადატანილია მარცხენა მხარეს ქარხანა-დამამზადებლის მიერ გამოშვების შემდეგ, რეგისტრაციას არ დაექვემდებარება.

ამასთან, რეგისტრაციის აკრძალვა საქართველოში უკვე ექსპლუატაციაში მყოფ მარჯვენასაჭიან და საჭეგადატანილ მანქანებსა და ავტობუსებზე არ გავრცელდება და მათი ხელახალი რეგისტრაცია დასაშვები იქნება.




როგორც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა განაცხადა, პროექტის მიღებას პარლამენტი არ იჩქარებს და საკითხი მიმდინარე წლის დღის წესრიგში შეტანილი არ იქნება.

**დავით უსუფაშვილი:**

– არ უნდა დავტოვოთ არც ერთი პასუხგაუცემელი კითხვა. მინდა კიდევ ერთხელ განვმარტოთ ის, რაც შსს-ს მხრიდან არაერთხელ ითქვა, რომ კანონის მიღების შემდეგ არანაირი პრობლემა არ შეექმნება არც ერთ იმ ადამიანს, რომელიც მარჯვენასაჭიანი ავტომობილით სარგებლობს.

საუბარია იმაზე, რომ საქართველოშიც, ისევე როგორც ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში მოწესრიგდეს საგზაო მოძრაობა და ეს მოწესრიგება იყოს არა შოკის მომგვრელი, არა რაიმეს აკრძალვები, არამედ, დროში გაწელილი იმისთვის, რომ ჩვენ სასურველი შედეგი მივიღოთ.

პრობლემა ის არის, რომ თავის დროზე, ძალიან ბევრი წლის წინ, ეს საკითხი არ მოგვარდა და ახლა გვიწევს ამ თემებზე საუბარი.

მისივე თქმით, პარლამენტი ინიციატივას ძალიან დეტალურად განიხილავს.

– კომიტეტებს, რომლებიც შეირჩა, მინდა ვთხოვო, რომ განსაკუთრებით მიიღონ ზომები, რათა ამ საკითხის განხილვისას ვუზრუნველყოთ საჯაროობაც, ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობაც.

რაც შეიძლება კარგად განვმარტოთ, რა ნოვაციები შემოდის, რა იქნება სიახლე, ვისთვის რა იცვლება.

კარგად ავუხსნათ მოსახლეობას მათთვის რა იცვლება და პირველ რიგში ავუხსნათ ის, რომ ვისაც უკვე ყავს ასეთი ავტომობილი, მათ რაიმე პრობლემები არ შეექმნებათ. არის სხვა თემებიც ამ კანონპროექტში, რომელსაც კარგი შესწავლა სჭირდება დარწმუნებული ვარ, ისეთ კანონს მივიღებთ, რომელიც ყველა მოქალაქისთვის ყოველმხრივ დასაბუთებული და გააზრებული იქნება, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

ცვლილებები „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონსა და მასთან ერთად, ოთხ კანონში შედის.

საკანონმდებლო პაკეტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა. ინიციატორი საქართველოს მთავრობაა.

**ინტერპრესნიუსი**

# „ახალგაზრდა ადვოკატები“: „პოლიტიკური ამნისტიის დისკრედიტაცია საარჩევნო კამპანიის ნაწილი ხდება“



ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ შეწყალების კომისიისა და 2012 წლის დეკემბერში, ამნისტიის შედეგად გათავისუფლებულთა საქმეების მიმართ მიმდინარე საჯარო დისკუსიას ეხმაურება და შესაბამისი სტრუქტურების მიერ სათანადო მოკვლევის ჩატარებამდე გამოთქმულ შეფასებებს მიუღებლად მიიჩნევს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელის არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, შეწყალების კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობა მუდმივად წარმოადგენდა საზოგადოებრივი განხილვების საგანს, ვიანიდან ცალკეული საქმეების მიმართ, არ არსებობს დასაბუთებული და განმარტებული გადაწყვეტილებები, თუმცა კამპანია, რომელიც პატიმართა საქმეების ანგარებით ლობირების არსებობას ეხება, ცდება საკითხის მიმართ ჯანსაღი კრიტიკის საფუძვლებს და მოითხოვს სამართლებრივ და პოლიტიკურ შეფასებას.

„ახალგაზრდა ადვოკატებს“ მიაჩნიათ, რომ გაუმართლებელია, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, მიზანმიმართული ცილისწამება და სახელისგამტეხი ცნობების გავრცელება ადამიანების მიმართ, რომლებმაც 2012 წლის დეკემბერში, სისტემური დანაშაულებების ჩადენის დამადასტურებელი პირველი დოკუმენტი შექმნეს.

**ახალგაზრდა ადვოკატები:**

– 2012 წლის 28 დეკემბერს, პარლამენტის მიერ მიღებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით, ცალსახად აღინიშნა ის გარემოება, რომ საქართველოში არსებობდნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირები.

შესაბამისად, სახელმწიფომ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1900 (2012) რეზოლუციაზე დაყრდნობით, ქვეყანაში პოლიტიკური ამნისტია გამოაცხადა.

შესაბამისად, ფართომასშტაბიანი ამნისტიისთვის დღეს სახელის გატეხა, ამნისტიის საკანონმდებლო პროცესში მონაწილე მთავარი ფიგურების დისკრედიტაცია, წარმოადგენს წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი დანაშაულებების და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების მიჩქმალვის ორგანიზებულ კამპანიას, რაც საერთო შეფასებაში, ქვეყნის საერთაშორისო სტრატეგიული პარტნიორების შეფასებებში, ხელისუფლების ნდობის დაკარგვას და ქვეყნის იმიჯის შელახვას ემსახურება.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, მნიშვნელოვანია დროის მოკლე პერიოდში მოხდეს საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება და საზოგადოებას მიეწოდოს მიმდინარე გამოძიების შედეგები.

არჩილ კაიკაციშვილის განცხა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# რატომ ჩაიშალა ქართულ-რუსულ-აფხაზურ-ოსური მხარეების მოლაპარაკება?

გულიკო ბალაძე

**რა გავლენას მოახდენს საქართველო-ევროკავშირს შორის მიღწეული ვიზალიბერალიზაცია აფხაზურ საზოგადოებასა და ელიტაზე, გვესაუბრება აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია.**

***– ბატონო ვახტანგ, რა გავლენას მოახდენს საქართველო-ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლა აფხაზეთზე?***

– ჩემი ვარაუდით, ევროპასთან უვიზო მიმოსვლის შემოღებამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს აფხაზურ საზოგადოებაზე.

***– როგორ წარმოგიდგენიათ მათი მხრიდან ევროპული სიკეთეების გაზიარება?***

– რა თქმა უნდა, ეს მოხდება თბილისის გავლით. სხვანაირად ვერ წარმომიდგენია. ეს იქნება საქართველოს ან საერთაშორისო მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტების მეშვეობით.

***– ნეიტრალური პასპორტი ხომ იყო?***

– დიახ, ამ შემთხვევაში ნეიტრალურ პასპორტებზეა საუბარი. ყველა ვერ „გაბედავს“ ღიად თქვას, რომ საქართველოს მოქალაქეობა იმიტომ მინდა, უცხოეთში წავიდე და იქ განათლება მივიღოო. თუმცა, ბოლო პერიოდში ბევრი ამბობს, რომ მისთვის ოჯახის წევრის, შვილის ჯანმრთელობა უფრო ღირებულია, ვიდრე პოლიტიკური მრწამსი. ვისაც საქართველოს მოქალაქის სტატუსის მიღებას მოერიდება, ის აიღებს ნეიტრალურ პასპორტს და იმით გავა.

***– ბატონო ვახტანგ, ოდნავ შევცვალოთ თემა, რატომ ჩაიშალა ჟენევის 34-ე მოლაპარაკება?***

– რამდენიმე წლის წინ ანალოგიური დემარში მოახდინეს აფხაზურმა და ოსურმა მხარეებმა რუსულ მხარესთან ერთად, როცა საკითხი დევნილთა დაბრუნებას ეხებოდა. დევნილთა საკითხი დღის წესრიგში მუდმივად არის და მუდამ იხილება. არ შეიძლება დევნილთა საკითხი დღის წესრიგიდან ამოვარდეს, რადგან ჟენევის მოლაპარაკებები აწყობილია დევნილთა პრობლემებზე.

***– ჩირიკბას განცხადებით, თითქოს საკითხი წინასწარ დამუშავებული არ იყო და მათ გარეშე იქნა შეტანილი მოლაპარაკების დღის წესრიგში.***

– არა, ასე არ იყო.

***– მინდოდა მეკითხა, წინასწარ რატომ არ იყვნენ ინფორმირებული, რომ აფხაზებს პროტესტის საშუალება არ ჰქონოდათ?***

– როცა ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი მზადდება, მას წინ უძღვის თანათავმჯდომარეების ვიზიტი (თანათავმჯდომარეები არიან ეუთოს, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლები) თბილისში, სოხუმსა და ცხინვალში, დღის წესრიგის შეთანხმება წინასწარ, ერთი თვით ადრე. მეორე – ჟენევაში სხდომების დაწყებამდე გვაქვს შეხვედრები თანათავმჯდომარეებთან, მეორე ჯგუფის ხელმძღვანელებთან და პირველი ჯგუფის ხელმძღვანელებთან. იქ თანხმდება დღის წესრიგი.

ამიტომ ყველამ ყველაფერი იცის, რა საკითხი იხილება იმ დღეს. მოლაპარაკებების მხარეებმა ვიცით, რომ მეოთხე საკითხი ყოველთვის არის დევნილთა საკუთარ სახლ-კარში დაბრუნება. როცა დევნილების საკითხს ვუახლოვდებით, ოსები და აფხაზები რუსებთან ერთად დგებიან და ტოვებენ დარბაზს. როცა ისინი დარბაზს ტოვებენ, ღონისძიება იშლება.



***– ე.ი. ისინი შეგნებულად შლიან მოლაპარაკებებს.***

– ბოლოს წინა შეხვედრებზე დარბაზში რჩებოდა რუსეთის დელეგაციის წარმომადგენელი, რომელიც აძლევდა სტატუსს ჩვენს კონსულტაციებს.

ახლა დევნილთა საკითხზე რომ მიდგა საქმე, განმარტება გააკეთეს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აშშ-ის, ჩვენი დელეგაციის წარმომადგენლებმა, დევნილთა საკითხების უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელმა, აფხაზებმა დატოვეს შეხვედრა.

რუსიც გაყვა და მოლაპარაკება ჩაშლილად ჩაითვალა.

***– დევნილების დაბრუნების თემა ძალიან მიუღებელია აფხაზებისთვის თუ მათი ასეთი შეუვალი პოზიცია რუსებისგან მომდინარეობს?***

– ძირითად წამყვან როლს რუსეთის დელეგაცია ასრულებს.

Audit and Business Consulting, LLC

An independent member of Morison International

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიუ კრედიტ ოფისი-ს მენეჯმენტს

*ფინანსური ანგარიშების იდენტიფიცირება*

1 ჩვენ ჩავატარეთ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიუ კრედიტ ოფისი-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

*მენეჯმენტის პასუხისმგებლობა*

2 წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

*აუდიტორის პასუხისმგებლობა*

3 ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

4 აუდიტი მოიცავს პროცედურებს, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

5 გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისათვის საფუძვლის შესაქმნელად.

*მოსაზრება*

6 ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

Audit and Business Consulting, LLC

შპს აუდიტი და ბიზნეს კონსალტინგი
თარიღი 28 ოქტომბერი 2015 წელი

ABC AUDIT AND BUSINESS CONSULTING LTD 206331691

6 Marjanishvili Str | 0102 | Tbilisi | Georgia
office +995 322 000 123 | info@morison.ge | www.morison.ge

Audit | Accounting | Tax & Legal | Valuation | Business Consulting

ABC is a member of the Morison International, a global association of leading professional service firms, established to meet the cross-border accounting, auditing, tax and business consulting needs of clients.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიუ კრედიტ ოფისი
ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31-დეკ-14 | 31-დეკ-13 |
|---|---|---|---|
| აქტივები | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 6 | 1,117 | 297 |
| გაცემული სესხები | 7 | 492,614 | 287,588 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 9 | 9,329 | 9,341 |
| ძირითადი საშუალებები | 8 | 1,726 | 2,436 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | | 3,973 | 3,743 |
| სხვა აქტივები | | 572 | 533 |
| სულ აქტივები | | **509,332** | **303,938** |
| ვალდებულებები | | | |
| მიღებული სესხები | 10 | 189,985 | 7,030 |
| გადასახდელი მოგების გადასახადი | | 6,870 | 6,057 |
| სხვა ვალდებულებები | 11 | 938 | 915 |
| სულ ვალდებულებები | | **197,793** | **14,003** |
| კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | 12 | 250,494 | 250,494 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 61,045 | 39,441 |
| სულ კაპიტალი | | **311,539** | **289,935** |
| სულ ვალდებულებები და კაპიტალი | | **509,332** | **303,938** |

სრული შემოსულობების ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2014 | 2013 |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | | 125,852 | 113,949 |
| საპროცენტო ხარჯი | | (12,424) | (1,878) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | **113,428** | **112,071** |
| შემოსავალი საკომისიოებიდან | | 6,988 | 9,323 |
| შემოსავალი ჯარიმებიდან | | 1,294 | 1,910 |
| სხვა შემოსავალი | | 3,360 | 4,196 |
| საოპერაციო შემოსავალი | | **125,070** | **127,500** |
| საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები | 13 | (101,336) | (100,310) |
| კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება / (ზარალი) | | 20,530 | 12,339 |
| სხვა ხარჯები | | (21) | (28) |
| მოგება დაბეგვრამდე | | **44,244** | **39,501** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | | (6,640) | (5,925) |
| მიმდინარე წლის წმინდა მოგება | | **37,604** | **33,575** |
| სხვა სრული შემოსულობები | | - | - |
| მიმდინარე წლის სრული შემოსულობები | | **37,604** | **33,575** |

# თურქი მეთევზეები: „ჩვენთვის არავის უსვრია“

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ 13 დეკემბერს ეგეოსის ზღვაში, საბერძნეთის კუნძულ ლემნოსიდან 22 კმ-ის დაშორებით, რუსულმა სამხედრო ხომალდმა „სმეტლივიმ“ თურქ მეთევზეთა გემს ცეცხლი გაუხსნა და, რომ თურქეთის სამხედრო ატაშე რუსეთში თავდაცვის სამინისტროში გამოიძახეს.

იქ მას რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანტონოვი ესაუბრა. მან თავის თურქ კოლეგას განუცხადა, რომ თუ პროვოკაციებს ბოლო არ მოეღება, შედეგები შესაძლოა დამღუპველი იყოს.

თავად თურქი მეთევზეები ამტკიცებენ, რომ რუსულ სამხედრო ხომალდს არ მიახლოებიან, მეტიც, რუსული სამხედრო გემი ნატოს გემად მიიღეს.

— ჩვენ ჩვენთვის ვიდექით, — ამბობენ ისინი.

სენსაციური განცხადება გააკეთა ხომალდის მფლობელმა გეჩიჯიმ. მან თქვა, რომ რუსებს არ უცდიათ თურქულ ლაინერთან რაიმე რადიოკავშირის დამყარება. საამისო საჭიროება საერთოდ არ არსებობდა, არც სროლას ჰქონიაო ადგილი.

— ჩვენთვის ცეცხლი არავის გაუხსნია, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სროლის ხმა არ გაგვიგია, — აცხადებს გეჩიჯი.

რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში ჩურკინმა თურქეთი აგრესიული საგარეო პოლიტიკის გატარებასა და პროვოკაციებში დაადანაშაულა. ჩურკინმა განაცხადა, რომ თურქეთი თავისი ქმედებით ომის პროვოცირებას ახდენს.

— თუკი ასე გაგრძელდა, ჩვენ გაეროში დავსვამთ საკითხს, რომ თურქეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციები შემოიღონ, — ამბობს ჩურკინი.



# აიოვას შტატში ტედ კრუზი ლიდერობს



აიოვას შტატში ტედ კრუზმა პოპულარობით დონალდ ტრამპს გადაუსწრო. მართალია საერთო-ეროვნული მასშტაბის ტრამპი კრუზს ჯერჯერობით უსწრებს, მაგრამ სწორედ აიოვას შტატში უნდა დაასახელონ, თუ ვინ იქნება პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკური პარტიიდან.

ტედ კრუზი 1970 წელს კანადაში კუბელი ემიგრანტრის ოჯახში დაიბადა. მამამისი ოდესღაც ფიდელ კასტროსთან ერთად ბატისტას დიქტატურის წინააღმდეგ იბრძოდა, შემდეგ კასტროს რეჟიმზე გული აუცრუვდა და კუბა დატოვა. კრუზი განათლებით იურისტია. ის იყო ტეხასის პროკურორი, ტეხასის შტატის მთავარი იურისკონსული.

კრუზი ახალგაზრდა პერსპექტიულ პოლიტიკოსად ითვლება. მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.

# სარკოზიმ ყველას მოუგო

საფრანგეთის მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურში ყველაზე მეტი ხმა ნიკოლა სარკოზის რესპუბლიკურმა პარტიამ დააგროვა — 40%. მეორეზე გადიან სოციალისტები 30%-ით. ულტრამემარჯვენე ნაციონალურმა ფრონტმა კი 28% მიიღო.

უკიდურესმა მემარჯვენეებმა ვერ შეძლეს იმ ტრიუმფის გამეორება, რასაც პირველ ტურში მიაღწიეს.

მიუხედავად ამისა, საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდი თვლის, რომ საფრთხე, რომელიც ულტრამემარჯვენეებისგან მომდინარეობს, ბოლომდე განეიტრალებული არ არის.

— წინაა საპარლამენტო არჩევნები. ჩვენ დიდი მუშაობა მოგვიწევს, რათა ნაციონალური ფრონტის პოპულიზმი დავამარცხოთ, — აცხადებს ოლანდი.




# პუტინის უშიშროებაში ცვლილებებია



რუსეთის პრეზიდენტის უშიშროების სამსახურში საკადრი ცვლილებებია. თანამდებობა დატოვა მისმა უფროსმა კლემენტიევმა. ის ფსბ-ს უფროსის პირველ მოადგილედ დაინიშნა. პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურს კი ამიერიდან დიმიტრი კოჩნევი უხელმძღვანელებს.

ვარაუდობენ, რომ მალე კლემენტიევი ფსბ-ს დირექტორად დაინიშნება.

ექსპერტები მიუთითებენ, რომ აღნიშნული საკადრო გადაადგილება მჭიდროდაა დაკავშირებული შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებასთან: რუსული ეკონომიკა ეცემა, ომი სირიაში გაჭიანურებულ ხასიათს იღებს, თავად რუსეთში კი სოციალური პროტესტი ნელ-ნელა ძლიერდება.

ასეთ ფონზე პუტინს სურს, რომ ფსბ-ს მისი ნდობით აღჭურვილი პირები ხელმძღვანელობდნენ.

# ყირიმში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა



ყირიმის საოკუპაციო ხელისუფლების მეთაურმა აქსიონოვმა ნახევარკუნძულზე სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. ასეთი ნაბიჯი მან იმით ახსნა, რომ ყირიმში კვლავ არ არის სინათლე, წყალი და ა.შ.

— შექმნილია საგანგებო მდგომარეობა! ამას საგანგებო ზომები სჭირდება, — ამბობს აქსიონოვი.

აქსიონოვმა კრემლის ხელისუფლებას მოუწოდა, რომ კიევზე ზეწოლა გააძლიეროს.

— უკრაინა გათავხედდა! თუკი მათ ჭკუა არ ვასწავლეთ, ყირიმს ისევ ბანდერელები დაეპატრონებიან! — აცხადებს აქსიონოვი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# კათოლიკე მღვდელს მილიონი დოლარის მოპარვა ბრალდება



აშშ-ში კათოლიკე მღვდელი შემოწირულობით მიღებული მილიონი დოლარის მოპარვაში ამხილეს. აღსანიშნავია, რომ ის მოპარულ ფულს გეი-სადომაზოხისტის მომსახურებაზე ხარჯავდა.

ნიუ იორკის ეკლესიის 53 წლის პასტორ პიტერ მიკლის წინააღმდეგ მანჰეტენის სასამართლოში შეტანილ კოლექტიურ სარჩელში, ნათქვამია, რომ ღვთისმსახური ცხრა წლის განმავლობაში იჯიბავდა ქალაქის ორი ეკლესიის მრევლის მიერ შეწირულ თანხებს. მოსარჩელეები ამტკიცებენ, რომ მიკლი მისაკუთრებულ თანხებს სექსმომსახურებაზე ხარჯავდა. კერძოდ, კეიტ კრისტის ერთ სეანსში, რომელიც გეი-სადომაზოხისტურ მომსახურებას სთავაზობს კლიენტებს, ათას დოლარს იხდიდა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ მიკლიმ და მისმა საყვარელმა ექვსი წლის წინ ნიუ-ჯერსიში 264 ათას დოლარად შეიძინეს სახლი, ასევე პასტორმა კრისტისთვის აღმოსავლეთ ჰაარლემში იჯარით იქირავა აპარტამენტები. გართობის დროს, როგორც მოსარჩელეები ამტკიცებენ, საყვარელი პასტორს აიძულებდა, მისი შარდი დაელია. გარდა ამისა, მიკლის მეზობლების თქმით, წყვილს ხშირად სტუმრობდნენ სხვა მამაკაცები, რომლებიც სექსწვეულებებში მონაწილეობდნენ.

მოსარჩელეების თქმით, მამაკაცი ეკლესიისთვის მოპარულ ფულს იტალიასა და ფლორიდაში დასვენებაში ხარჯავდა, ასევე არალეგალურ პრეპარატებში, რომლებსაც მას ქრთამის სანაცვლოდ ნაცნობი ექიმი აძლევდა. მათივე მტკიცებით, პასტორის საქმიანობის შესახებ იცოდნენ ნიუ იორკის ეპარქიაში და საქმის კურსში იყო თვით კარდინალი ტიმოთი დოლანი, მაგრამ მისი საქმიანობის აღსაკვეთად არაფერი მოუმოქმედებიათ.

# სტარბუქსს შობის საწინააღმდეგო ქმედებაში ადანაშაულებენ

სოციალური ქსელების მომხმარებლებმა კაფეების ქსელი სტარბუქსი „შობასთან ბრძოლაში“ კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს. ამჯერად მომხმარებლებმა საშობაო დათვის ფორმის ნამცხვრის ზედაპირის ფერი გააკრიტიკეს.

კომპანიამ ნამცხვრების საშობაო სერია გამოუშვა, რომელსაც თეთრი დათვის სახე აქვს და კისერზე წითელი ფერის ყელსახვევი უკეთია. თუმცა, კაფეს კლიენტების აზრით, ნამცხვრის ახლოდან კარგად დათვალიერების შედეგად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ დათვს ყელზე სისხლი აქვს და არა ყელსახვევი. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სტარბუქსი „ქრისტეს მიმართ სიძულვილშია“ ეჭვმიტანილი, ეს ეჭვი კი ჭიქების ახალმა დიზაინმა გამოიწვია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## განცხადებები

### მკურნალობა

- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემორიოი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.
- ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სათესლე ჯირკვლების ანთებას, ასოს, შარდსადინარის, პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს ინტიმური ურთიერთობების მოსაწესრიგებელი უვნებელი „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

*თოდუების საგვარეულო წამლები და მალამოები ოდითგანვე იყო ცნობილი. დღეს თოდუების გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელიც წარჩინებით მიჰყვება თავის საქმიანობას და ჰყავს ათასობით მადლიანი პაციენტი.*

**ლამარა თოდუა:**

„კანის გაწმენდას ვაკეთებ ძველი და ახალი მეთოდებით, სამკურნალო ნიღბებით, რაც სახის კანის გაღიზიანებას არ იწვევს. ჩემი მკვებავი, დამცავი კრემები და ლოსიონები მხოლოდ მცენარეული და ბუნებრივი მასალაა. ვკურნავ „პრიჩიკებს“, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, ჩირქოვან სოკოვანებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ჰაიმორიტს. ვაშორებ ქერტლს, გამონაყარს, ვაჩერებ თმის ცვენას. ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ახალნამშობიარებ დედებს თუ მკერდი გაუმაგრდათ, ჩემი მალამოებით შვებას იგრძნობენ, სადინარები გაეხსნებათ და არანაირი მასაჟის ჩატარება საჭირო აღარ არის. ვარჩენ ნაწოლებს, თმის ჩაბრუნებას. ჩემი მალამოებით სწრაფად ხორცდება ნებისმიერი ხარისხის დამწვრობა ისე, რომ ნაწიბური და ლაქა არ რჩება. ვარჩენ ხელისა და ფეხის ოფლიანობას. მკურნალობის შედეგი გარანტირებულია“.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სანდრო კობახიძე ჯავშანჟილეტში ვარჯიშობს

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი სანდრო კობახიძე დნეპროპეტროვსკის დნიპროდან ლუცკის ვოლინშია განათხოვრებული. სანამ უკრაინის ჩემპიონატში ზამთრის პაუზა დადგებოდა, ერთმანეთს სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ და ვოლინმა მოულოდნელად სტუმრად 1:0 მოუგო დნიპროს. კობახიძემ ეს მატჩი ძირითად შემადგენლობაში ითამაშა და მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში შეცვალეს, უფრო დროის გაყვანის მიზნით.

კობახიძეს უკრაინული მედია ესაუბრა.

***– სეზონი დნიპროსთან მატჩით დახურეთ, როგორი განწყობით იყავით მოედანზე?***

– ჩემთვის ყველა თამაში ერთნაირად პრინციპულია.

***– დნიპროსთან მოგებით ვოლინს სამეულში შესვლის შანსი აქვს.***

– რეალისტები უნდა ვიყოთ... გუნდს შეუძლია ევროპალიგის საგზურის მოპოვება, მაგრამ, ვფიქრობ, მესამე ადგილის გუნდი მაინც არ ვართ. ჩვენთვის ევროთასების საგზური არავის დაუსახია, მაგრამ შეიძლება მივაღწიოთ ამ მიზანს.

***– მანამდე თქვენმა გუნდმა ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო, 9:1 დაამარცხა ზაპოროჟიეს მეტალურგი.***

– მიხარია, რომ კლუბისთვის სარეკორდო მატჩში მონაწილეობა მივიღე. მეტალურგი დასუსტებულია, მაგრამ ჩვენ სერიოზულად ვემზადებოდით ამ შეხვედრისთვის. სამი სწრაფი გოლის შემდეგ, მეტოქე სულ დაიბნა. 10-ჯერ დავარტყით კარში და 9 გოლი გავიტანეთ.

***– სტატისტიკას თუ უყურებთ ხშირად და საკუთარი თამაშის ანალიზს თუ აკეთებთ?***

– სტატისტიკას სულ ვათვალიერებ. ყოველთვის მაინტერესებს ჩემი მონაცემები, მაგრამ ხშირად ვერ ვიგებ.

***– მეტალურგთან დუბლი შეასრულეთ, გახსოვთ წინა დუბლი?***

– ამავე სეზონში თასზე გავიტანე 2 გოლი, ჩემპიონატში კი 3 წლის წინ, ჯერ კიდევ არსენალში თამაშისას.

***– ვოლინი თქვენი მე-4 უკრაინული კლუბია. მოგწონთ ლუცკში?***

– ჩემთვის მთავარია სათამაშო პრაქტიკა, რომელიც დნიპროში არ მქონდა, თუმცა თავს იქაც კარგად ვგრძნობდი. მომავალში მაღალ დონეზე თამაში მსურს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი კარიერა სწორად ვითარდება.

***– უკრაინაში ბევრ ქართველს უთამაშია, ყველაზე გამორჩეული ვინ იყო?***

– გამოვყოფ ჯაბა კანკავას, გიორგი დემეტრაძეს და კახა კალაძეს, რომლისთვისაც კიევის დინამო ტრამპლინი იყო მილანში გადასასვლელად.

***– უკრაინაში რომელ ქართველთან მეგობრობთ ყველაზე მეტად?***

– კანკავასთან, რომელიც საფრანგეთში გადავიდა. ერთმანეთს არც ახლა ვკარგავთ. თემურ ფარცვანიასა და ჯაბა ლიპარტიასთანაც ვმეგობრობ.

***– რომელი ქვეყნის ჩემპიონატი მოგწონთ?***

– პირველ რიგში მსურს დნიპროში დავიმკვიდრო თავი, ვოლინში ამ სეზონის ბოლომდე ვარ, მერე ვნახოთ. ბავშვობიდან მიყვარს პრემიერლიგა, თითქმის ყველა თამაშს ვუყურებ. ეს ყველაზე ძლიერი ჩემპიონატია. კონოპლიანკას ინგლისში წასვლას ვურჩევდი, მაგრამ არ დამიჯერა.




***– რაც უკრაინაში ხართ, თქვენმა თბილისის დინამომ ჩემპიონატი სამჯერ მოიგო.***

– ფეხბურთელისთვის უკეთეს პირველობაში თამაში სჯობს, უკრაინის ლიგა უკეთესია. რა თქმა უნდა, დინამოს ამბებს თვალს ვადევნებ და ვგულშემატკივრობ.

***– როგორ მუშაობთ კვარციანისთან?***

– ის ემოციური მწვრთნელია, მაგრამ მე პრობლემები არ მქონია. მახსოვს, ღამის სამზე გამოვცხადდი გუნდში და დილის შვიდზე ვარჯიშზე ვიყავი.

***– ჯავშანჟილეტში გივარჯიშიათ?***

– კი, დილით ამით სირბილი საშინელებაა, მაგრამ მერე მივეჩვიე.

***– როგორია სანდრო კობახიძის საფეხბურთო ოცნება?***

– საქართველოს ნაკრების მოხვედრა დიდ ტურნირზე და ინგლისის პრემიერლიგაში გადასვლა სათამაშოდ.



# ლეგიონერებში შერმადინი გამოირჩა

ესპანეთის ჩემპიონატში თორნიკე შენგელიას ლაბორალ კუჩამ ზედიზედ მეორე მატჩი წააგო. ბასკურ დერბიში ვიტორიული გუნდი ბილბაოში დომინიონს შეხვდა და ოვერტაიმიან დაძაბულ ბრძოლაში – 83:89 დამარცხდა.

ქართველი ფორვარდი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 17 წუთი გაატარა. შენგელიამ 4-დან 3 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. მთლიანობაში მის ანგარიშზე 8 ქულა და 4 მოხსნა დააგროვა.

7 მოგებითა და 3 მარცხით ლაბორალ კუჩა ცხრილში მე-4 ადგილზეა. მომდევნო ტურში, 20 დეკემბერს, ვიტორიელები სევილიას უმასპინძლებენ.

ესპანეთშივე შესანიშნავი მატჩი ჩაატარა გიორგი შერმადინმა. ქართველი ცენტრის წინამძღოლობით ანდორა მორაბანკმა სტუმრად მოიგო ესტუდიანტესთან – 82:75.

შერმადინი სასტარტო ხუთეულში გახლდათ და მოედანზე მთლიანობაში 22 წუთი გაატარა, რაც სრულიად საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ მატჩის საუკეთესო შედეგი დაეფიქსირებინა. გიორგიმ 7-დან 3 ორქულიანი და 6-დან ექვსივე საჯარიმო ჩააგდო. შესაბამისად, ქართველ ცენტრს 12 ქულა დაუგროვდა, რასაც მან 14 მოხსნა და 1 პასი მოაყოლა.

5 მოგებითა და ამდენივე წაგებით ანდორა ესპანეთის ჩემპიონატში მე-9 ადგილზეა. მომდევნო, მე-11 ტურში, 20 დეკემბერს შერმადინის გუნდი მადრიდის რეალს უმასპინძლებს.

თურქეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ვიქტორ სანიკიძის თედ კოლეჯმა სტუმრად წააგო ბეშიქთაშთან. თურქეთის მოწინავე გუნდთან მისსავე მოედანზე ანკარელებს წარმატების მცირე შანსი ჰქონდათ და საწადელს ვერც მიაღწიეს, თუმცა ბოლომდე იბრძოლეს და სტამბოლურ გრანდს მხოლოდ 5 ქულა დაუთმეს – 69:74.

ქართველმა ფორვარდმა 18 წუთი ითამაშა და შეხვედრა 4 ქულით, 1 მოხსნით და 1 ჩაჭრით დაასრულა. სანიკიძემ 5-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, 3 სამიანი კი ააცილა.

4 მოგებითა და 7 მარცხით სანიკიძის გუნდი მე-12 ადგილზე იმყოფება. მომდევნო ტურში, 19 დეკემბერს ანკარელები ტურკ ტელეკომს უმასპინძლებენ.

წარუმატებელი გამოდგა იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტური ნიკა მეტრეველის კაპო ბეტალანდ დორლანდოსთვის. მეტრეველის გუნდი მილანში ემპორიო არმანის შეხვდა და უიმედოდ დამარცხდა – 57:84.

არც ქართველი ფორვარდი ყოფილა გამორჩეული. მეტრეველს მხოლოდ 3 სათამაშო წუთი მიეცა, რის განმავლობაშიც მან 2 ქულა მოაგროვა და ბურთი ერთხელ დაკარგა. 4 მოგებით და 7 მარცხით დორლანდო მე-13 ადგილზე დაეშვა.

მომდევნო მატჩს მეტრეველის გუნდი 20 დეკემბერს, შინ პესაროსთან გამართავს.

# ვითას მე-12 მარცხი

**ვითა – ნიმბურკი 59:119**
(17:37; 12:24; 15:32; 15:26)

თბილისის ვითამ ვითიბი ლიგის რეგულარულ ჩემპიონატში ზედიზედ მე-12 მატჩი წააგო და ისევ კატასტროფული ანგარიშით. თუმცა მარტო ეს არ არის ქართული კლუბის პრობლემა.

ვითამ მორიგი ტურის წინ, ტრადიციულად, კიდევ ერთი კალათბურთელი დაკარგა – ნიმბურკს თბილისელები ლიდერის, პიერია ჰენრის გარეშე დახვდა. კლუბს არ აქვს ფინანსები და კალათბურთელებიც ამის გამო გარბიან. არ არის გამორიცხული, ვითა მომდევნო მატჩზე სათამაშოდ ვერ გავიდეს.

პაველ გოოგეს განაცხადში 10 კალათბურთელი კი ჰყავდა, მაგრამ მათგან მოედანზე მხოლოდ 7 გავიდა. აქედან ბიბილურმა 6 წუთი ითამაშა, ხოლო დანარჩენი დრო 6 კალათბურთელზე გადანაწილდა, აქედან ჩლაიძემ შეუცვლელად 40 წუთი ითამაშა.

კიდევ ერთი პრობლემა ელექტროენერგიის გათიშვა იყო. შესვენების შემდეგ მატჩის განახლება სპორტის სასახლეში უშუქობის გამო ვერ ხერხდებოდა. საბოლოოდ, პრობლემა მოგვარდა, მაგრამ მსგავსი რამ მერამდენედ ხდება სპორტის სასახლეში, ვეღარ ვითვლით. გეხსომებათ, პრობლემები ტაბლოს გამოც შეიქმნა ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მიმდინარეობისას.

მატჩზე კი რა უნდა ვთქვათ: საწყისი წუთები სანახაობრივი და შედეგიანი გამოდგა. ვითამ მეტოქეს თავიდან დაწინაურების უფლება არ მისცა და ახლოს მიჰყვებოდა, მაგრამ ეს „თავიდან" დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე პირველი მეოთხედის ბოლოს ჩეხებმა სრული კონტროლი დააწესეს შეხვედრაზე და ვითელებს 17 უპასუხო ქულა ჩაუგდეს.

რონენ გინზბურგის შეგირდებმა შედეგიანი თამაში შემდეგშიც გააგრძელეს და პარკეტზე მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ. საბოლოოდ ნიმბურკმა 60-ქულიანი სხვაობით იმარჯვა.

# ჩემპიონთა ლიგაში მერვედფინალისტები დაწყვილდნენ

ნიონში უეფას შტაბბინაში, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა.

თავიდანვე გარკვეული იყო, რომ რუსული და უკრაინული კლუბების, სანკტ-პეტერბურგის ზენიტისა და კიევის დინამოს დაწყვილება, ამ ქვეყნებს შორის დაძაბული ურთიერთობის გამო არ შედგებოდა. პლეი ოფის ამ სტადიაზე ერთმანეთს ასევე ვერ შეხვდებოდნენ ერთი ჯგუფიდან გასული გუნდები.

წილისყრის შედეგად გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**გენტი – ვოლფსბურგი; რომა – რეალი; პსჟ – ჩელსი; არსენალი – ბარსელონა; იუვენტუსი – ბაიერნი; პსვ – ატლეტიკო; ბენფიკა – ზენიტი; დინამო – სიტი.**

**პირველი მატჩები 16/17 და 23/24 თებერვალს გაიმართება, ხოლო საპასუხო მატჩები 8/9 და 15/16 მარტს.**

# შედეგები

13 დეკემბერი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ასტონ ვილა-არსენალი ................... 0:2
ტოტენჰემი-ნიუკასლი .................... 1:2
ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი ......... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 16 | 10 | 3 | 3 | 29-13 | 33 |
| 2.სიტი | 16 | 10 | 2 | 4 | 32-17 | 32 |
| 3.ლესტერი | 15 | 9 | 5 | 1 | 32-21 | 32 |
| 4.მანჩესტერი | 16 | 8 | 5 | 3 | 21-12 | 29 |
| 5.ტოტენჰემი | 16 | 6 | 8 | 2 | 26-14 | 26 |
| 6.კრ.პალასი | 16 | 8 | 2 | 6 | 21-15 | 26 |
| 7.უოტფორდი | 16 | 7 | 4 | 5 | 18-16 | 25 |
| 8.ვესტ ჰემი | 16 | 6 | 6 | 4 | 25-21 | 24 |
| 9.ლივერპული | 16 | 6 | 6 | 4 | 20-19 | 24 |
| 10.ევერტონი | 16 | 5 | 8 | 3 | 29-21 | 23 |
| 11.სტოკი | 16 | 6 | 5 | 5 | 13-14 | 23 |
| 12.საუთჰემპტონი | 16 | 5 | 6 | 5 | 21-19 | 21 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 16 | 5 | 5 | 6 | 16-21 | 20 |
| 14.ბორნმუთი | 16 | 4 | 4 | 8 | 20-31 | 16 |
| 15.ნიუკასლი | 16 | 4 | 4 | 8 | 18-31 | 16 |
| 16.ჩელსი | 15 | 4 | 3 | 8 | 17-24 | 15 |
| 17.სუონსი | 16 | 3 | 5 | 8 | 15-24 | 14 |
| 18.ნორვიჩი | 16 | 3 | 5 | 8 | 18-28 | 14 |
| 19.სანდერლენდი | 16 | 3 | 3 | 10 | 17-30 | 12 |
| 20.ასტონ ვილა | 16 | 1 | 3 | 12 | 13-30 | 6 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-მალაგა ................................... 1:2
ეიბარი-ვალენსია ............................ 1:1
ატლეტიკო-ბილბაო ........................ 2:1
ვილიარეალი-რეალი ...................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 11 | 2 | 2 | 36-15 | 35 |
| 2.ატლეტიკო | 15 | 11 | 2 | 2 | 22-7 | 35 |
| 3.რეალი | 15 | 9 | 3 | 3 | 32-13 | 30 |
| 4.სელტა | 15 | 8 | 4 | 3 | 26-22 | 28 |
| 5.ვილიარეალი | 15 | 8 | 3 | 4 | 19-15 | 27 |
| 6.დეპორტივო | 15 | 5 | 8 | 2 | 23-16 | 23 |
| 7.სევილია | 15 | 6 | 4 | 5 | 21-19 | 22 |
| 8.ვალენსია | 15 | 5 | 6 | 4 | 19-12 | 21 |
| 9.ბილბაო | 15 | 6 | 3 | 6 | 22-18 | 21 |
| 10.ეიბარი | 15 | 5 | 6 | 4 | 19-17 | 21 |
| 11.ბეტისი | 15 | 5 | 4 | 6 | 13-19 | 19 |
| 12.ესპანიოლი | 15 | 5 | 2 | 8 | 15-26 | 17 |
| 13.სოსიედადი | 15 | 4 | 4 | 7 | 17-20 | 16 |
| 14.ხეტაფე | 15 | 4 | 3 | 8 | 16-24 | 15 |
| 15.ხიხონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-23 | 15 |
| 16.მალაგა | 15 | 3 | 5 | 7 | 9-14 | 14 |
| 17.გრანადა | 15 | 3 | 5 | 7 | 17-25 | 14 |
| 18.რაიო | 15 | 4 | 2 | 9 | 16-27 | 14 |
| 19.ლას პალმასი | 15 | 3 | 4 | 8 | 12-22 | 13 |
| 20.ლევანტე | 15 | 2 | 5 | 8 | 12-27 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

სარაგოსა-ნუმანსია ......................... 2:2
ალბასეტე-ვალიადოლიდი ............ 0:1
ალმერია-უესკა ............................... 1:2
ლეგანესი-ხიმნასტიკი ..................... 1:0
ოსასუნა-ბილბაო ბ ......................... 1:1
მირანდესი-ოვიედო ........................ 1:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-შალკე ........................... 2:1
დორტმუნდი-აინტრახტი ............... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 16 | 14 | 1 | 1 | 45-8 | 43 |
| 2.დორტმუნდი | 16 | 12 | 2 | 2 | 46-21 | 38 |
| 3.ჰერტა | 16 | 9 | 2 | 5 | 24-18 | 29 |
| 4.ვოლფსბურგი | 16 | 7 | 5 | 4 | 25-18 | 26 |
| 5.გლადბახი | 16 | 8 | 2 | 6 | 31-28 | 26 |
| 6.ლევერკუზენი | 16 | 7 | 3 | 6 | 24-20 | 24 |
| 7.მაინცი | 16 | 7 | 3 | 6 | 23-21 | 24 |
| 8.შალკე | 16 | 7 | 3 | 6 | 22-23 | 24 |
| 9.ჰამბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 19-22 | 22 |
| 10.კიოლნი | 16 | 5 | 6 | 5 | 16-20 | 21 |
| 11.ინგოლშტადტი | 16 | 5 | 5 | 6 | 11-17 | 20 |
| 12.დარმშტადტი | 16 | 4 | 6 | 6 | 15-23 | 18 |
| 13.აუგსბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 20-26 | 16 |
| 14.ვერდერი | 16 | 4 | 3 | 9 | 16-30 | 15 |
| 15.აინტრახტი | 16 | 3 | 5 | 8 | 19-27 | 14 |
| 16.ჰანოვერი | 16 | 4 | 2 | 10 | 18-28 | 14 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 16 | 2 | 7 | 7 | 17-24 | 13 |
| 18.შტუტგარტი | 16 | 3 | 3 | 10 | 19-36 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-დუისბურგი ..................... 2:0
ნიურნბერგი-ფრაიბურგი ............. 2:1
ლაიპციგი-ფრანკფურტი ............... 3:1

**იტალია. სერია ა**

მილანი-ვერონა .............................. 1:1
კიევო-ატალანტა ............................ 1:0
ემპოლი-კარპი ................................ 3:0
ნაპოლი-რომა ................................. 0:0
იუვენტუსი-ფიორენტინა ............... 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 16 | 11 | 3 | 2 | 22-9 | 36 |
| 2.ფიორენტინა | 16 | 10 | 2 | 4 | 31-15 | 32 |
| 3.ნაპოლი | 16 | 9 | 5 | 2 | 28-12 | 32 |
| 4.იუვენტუსი | 16 | 9 | 3 | 4 | 25-12 | 30 |
| 5.რომა | 16 | 8 | 5 | 3 | 30-18 | 29 |
| 6.სასუოლო | 15 | 7 | 5 | 3 | 19-14 | 26 |
| 7.მილანი | 16 | 7 | 4 | 5 | 20-19 | 25 |
| 8.ატალანტა | 16 | 7 | 3 | 6 | 18-16 | 24 |
| 9.ემპოლი | 16 | 7 | 3 | 6 | 20-20 | 24 |
| 10.კიევო | 16 | 6 | 4 | 6 | 21-16 | 22 |
| 11.ტორინო | 15 | 6 | 4 | 5 | 21-19 | 22 |
| 12.ბოლონია | 16 | 6 | 1 | 9 | 17-21 | 19 |
| 13.ლაციო | 15 | 6 | 1 | 8 | 17-24 | 19 |
| 14.პალერმო | 16 | 5 | 3 | 8 | 17-24 | 18 |
| 15.უდინეზე | 16 | 5 | 3 | 8 | 14-24 | 18 |
| 16.სამპდორია | 15 | 4 | 4 | 7 | 21-25 | 16 |
| 17.ჯენოა | 16 | 4 | 4 | 8 | 15-21 | 16 |
| 18.ფროზინონე | 16 | 4 | 2 | 10 | 15-30 | 14 |
| 19.კარპი | 16 | 2 | 4 | 10 | 13-30 | 10 |
| 20.ვერონა | 16 | 0 | 7 | 9 | 11-26 | 7 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-პერუჯა .................................. 1:0
კროტონე-მოდენა ........................... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-სტ.ეტიენი ........................ 1:0
ანჟე-ბორდო .................................. 1:1
მარსელი-გაზელეკი ....................... 1:1
პსჟ-ლიონი ..................................... 5:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 18 | 15 | 3 | 0 | 45-9 | 48 |
| 2.ანჟე | 18 | 8 | 7 | 3 | 17-10 | 31 |
| 3.მონაკო | 18 | 8 | 7 | 3 | 25-23 | 31 |
| 4.კაენი | 18 | 9 | 3 | 6 | 21-19 | 30 |
| 5.ნიცა | 18 | 7 | 5 | 6 | 31-23 | 26 |
| 6.ლიონი | 18 | 7 | 5 | 6 | 22-21 | 26 |
| 7.სტ.ეტიენი | 18 | 8 | 2 | 8 | 21-22 | 26 |
| 8.ლორიანი | 18 | 6 | 7 | 5 | 27-26 | 25 |
| 9.მარსელი | 18 | 6 | 6 | 6 | 27-20 | 24 |
| 10.რენი | 18 | 5 | 9 | 4 | 23-21 | 24 |
| 11.ლილი | 18 | 5 | 8 | 5 | 14-12 | 23 |
| 12.ნანტი | 18 | 6 | 5 | 7 | 14-17 | 23 |
| 13.მონპელიე | 18 | 6 | 4 | 8 | 22-24 | 22 |
| 14.ბორდო | 18 | 5 | 7 | 6 | 22-27 | 22 |
| 15.რეიმსი | 18 | 5 | 6 | 7 | 19-22 | 21 |
| 16.გაზელეკი | 18 | 5 | 6 | 7 | 18-21 | 21 |
| 17.ბასტია | 18 | 5 | 4 | 9 | 18-24 | 19 |
| 18.გენგამი | 18 | 5 | 4 | 9 | 17-25 | 19 |
| 19.ტულუზა | 18 | 3 | 7 | 8 | 20-32 | 16 |
| 20.ტრუა | 18 | 0 | 7 | 11 | 10-35 | 7 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

უტრეხტი-აიაქსი ............................ 1:0
გრონინგენი-ფეინოორდი .............. 1:1
ზვოლე-ალკმაარი .......................... 2:1
ჰერაკლესი-ვიტესი ........................ 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

სპორტინგი-მორეირენსე ............... 3:1
ტონდელა-ბრაგა ............................ 0:1
ნასიონალი-პორტუ ....................... 1:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-რაპიდი ..................... 2:0

**ბელგია. პროლიგა**

სტანდარდი-ბრიუგე ..................... 2:0
სტ.ტრუდენი-გენტი ....................... 0:2
ანდერლეხტი-ოსტენდე ................. 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი-პანეთოლიკოსი ....... 1:0
ატრომიტოსი-კალონი .................... 1:0
ქსანთი-ვერია ................................. 1:1
პანათინაიკოსი-ასტერასი ............. 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-აკჰისარი ......................... 3:2
გენჩლერი-სივასი ........................... 0:1
ფენერბახჩე-ბასაკშეჰირი .............. 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-ზაგლებიე ............................. 2:0
ლეგია-პიასტი ............................... 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## პოლიციელის ცოლი საშობაო საჩუქრებს იპარავდა

ფლორიდელი პოლიციელის მეუღლემ მეზობლის კართან დაწყობილი საშობაო საჩუქრები მოიპარა. 42 წლის დანა ჰეიგერი ქურდობის მომენტში სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა. მასზე ჩანს, თუ როგორ მიაქვს და საკუთარ მანქანაში აწყობს აშშ-ის საფოსტო სამსახურის



მიერ მეზობლისთვის მიტანილ შეკვრას, რომელშიც საჩუქრები იდო.

ინციდენტი პარასკევს ქალაქ ლეიკლენდში მოხდა. მეგან ზავაცკი, რომლისთვისაც იყო განკუთვნილი საჩუქრები, თავის ორი წლის გოგონასთან ერთად სახლში იმყოფებოდა. ქალის თქმით, მან ფანჯარაში ჩრდილი შენიშნა, ბავშვი ხელში აიყვანა და საძინებელ ოთახში შევიდა, რათა სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერი ენახა. მასზე აღბეჭდილი აღმოჩნდა ქურდი, რომელსაც ბავშვის საჩუქრები მიჰქონდა.

ქალმა ჩანაწერი ფეისბუქში განათავსა, სადაც ის ათეულათასამდე ადამიანმა ნახა. ზავაცკიმ რამდენიმე შეტყობინება მიიღო ადამიანებისგან, რომლებმაც დამნაშავეში ჰეიგერი ამოიცნეს. ის სამართალდამცავებმა დააპატიმრეს და ძარცვისა და ქურდობის ბრალდება წაუყენეს.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლის მეუღლემ დანაშაული აღიარა. მან მოპარული საჩუქრები მის მფლობელს დაუბრუნა და ჩადენილი დანაშაული მოინანია. ამჟამად ჰეიგერი წინასწარი პატიმრობის საკანში იმყოფება.

## მსოფლიოში ყველაზე დიდი საშობაო წინდა მოქსოვეს



უახლოეს შაბათს ამერიკის ქალაქ ფეიეტვილში წარმოდგენილი იქნება მსოფლიოში ყველაზე დიდი საშობაო წინდა. სადღესასწაულო ნაწარმის წონა თითქმის 730 კილოგრამს შეადგენს, ხოლო მოცულობა 715 კვადრატულ მეტრს. როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი სააგენტო ხუმრობით აღნიშნავს, შესაძლოა სანტა-კლაუსს უფრო მეტი ირმები დასჭირდეს ასეთი წინდის საჩუქრებით ასავსებად.

საშობაო წინდის დამზადებაზე ამერიკის 50 შტატის და კანადის ოთხი პროვინციის მქსოველები მუშაობდნენ, ასევე ირლანდიელებიც.

გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენელმა კიმბერლი პატრიკმა განაცხადა, რომ უკვე ჩატარდა საშობაო წინდის გაზომვა და ის მართლაც მსოფლიოში ყველაზე დიდ წინდად შეიძლება იქნეს აღიარებული.

## კატამ ოჯახური ფოტო იდეალურ „ფოტობომბად“ აქცია



ოჯახური ფოტოსურათი იდეალურ „ფოტობომბად“ გადაქცევის გამო გაფუჭდა, რომელიც თავის პატრონებს კატამ მოუწყო. სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტოსურათი კი სულ უფრო პოპულარული ხდება.

ამ მომენტისთვის უცნობია, თუ რა ოჯახია, სად მოხდა ეს თავშესაქცევი ამბავი და რა ჰქვია ცელქ კატას – ახალ ონლაინ ვარსკვლავს. კატამ და მისმა ოსტატობამ სურათი „ფოტობომბად“ გადააქცია, მაღალი შეფასება დაიმსახურა ინტერნეტ მომხმარებლებისგან.

ერთ-ერთი ინტერნეტ-მომხმარებლის კომენტარით, სურათი გაცილებით უკეთესი გამოვიდა, ვიდრე ნებისმიერი პოტენციურად საოჯახო ფოტო გამოვიდოდა.

– დარწმუნებული ხართ, რომ თავად ოჯახმა არ მოაწყო ეს „ფოტობომბი“ კატის გადაღებისთვის? – დაწერა მეორე ინტერნეტ მომხმარებელმა.

– მე ამ ფოტოს საკუთარი საშობაო ბარათისთვის გამოვიყენებდი, – კომენტარში დაწერა კიდევ ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

კულტურა

## საყდრისის მცველები კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ

**ეკა ირემაშვილი**

საყდრისის აფეთქებიდან ერთი წელი გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლზე ყველაფერი განადგურებულია, საყდრისის მცველები გაჩერებას არ აპირებენ და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ბრძოლას აგრძელებენ.

საყდრისის დამცველებმა კულტურის სამინისტროს წინ საპროტესტო აქცია გამართეს, პლაკატები და ბანერები მიიტანეს და კულტურის მინისტრს იმ კითხვებზე პასუხის გაცემა სთხოვეს, რომელიც მათ ამ ერთი წლის განმავლობაში აწუხებთ.

სპეციალურად ამ დღისთვის საყდრისის მცველებმა საგანგებო ვიდეოკლიპიც დაამზადეს, სადაც კიდევ ერთხელ ამხილეს კულტურის სამინისტრო, როგორც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უძველესი ძეგლის საყდრისის გამანადგურებლები.

ირაკლი მამალაძე, საყდრისის დამცველი:

– საყდრისის აფეთქებიდან ერთი წელი გავიდა და ჩვენი თავდაუზოგავი ბრძოლის მიუხედავად, ძეგლის გადარჩენა ვერ შევძელით. სამწუხაროდ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თემა ვერ გახდა ფართო საზოგადოებრივი ინტერესის საგანი. ე.წ. კერძო დავა კი რეალურად იქცა ბრძოლად რამდენიმე ადამიანისგან შემდგარ კომიტეტსა და მთავრობას შორის, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საყდრისის ბედი ისე გადაწყვეტილიყო, როგორც დღეს არის.

კომიტეტის წევრების დისკრედიტაციის მიზნით შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, დაიქირავეს მეცნიერები. კულტურის წარმომადგენლები, მთავრობის უმაღლესმა პირმა დივერსანტებიც კი გვიწოდა და სამართალდამცავებს ჩვენი საქმიანობის შესწავლისკენ მოუწოდა, გაჩნდა ბრალდებები ჩვენი და ნაციონალური მოძრაობის ფარული ალიანსისა და ფინანსური მხარდაჭერის შესახებ, იყო კომიტეტის წევრების დაშინების და გადაბირების მცდელობა, ერთ-ერთმა წევრმა სამსახური დაკარგა.

დღეს ბევრი სვამს შეკითხვას, რას ემსახურება საყდრისის დაცვის საზოგადოებრივი კომიტეტი მაშინ, როდესაც ძეგლი აღარ არსებობს, ვინ აფინანსებს და რატომ არის, რომ ნაციონალური მოძრაობა და სხვა ოპოზიციური პარტიები აქტიურად უჭერენ მხარს.

ჩვენი კომიტეტი არსებობს იმისათვის, რომ საყდრისის მსგავსად, კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფის თითოეული ფაქტი გახადოს რეზონანსული იმისათვის, რომ პასუხი აგებინოს ყველას, ვინც უნიკალური ოქროს მაღაროს აფეთქებას დაუჭირა მხარი, ვინც ქვეყანას უდიდესი კულტურული მონაპოვარი დააკარგვინა. არსებობის დღიდან ჩვენი კომიტეტი დაფუძნებულია ენთუზიაზმზე, არასოდეს არანაირი ფინანსური დახმარება არავისგან არ მიგვიღია. რაც შეეხება პარტიების მხარდაჭერას, ჩვენ არაერთხელ მოვუწოდეთ მხარდაჭერისაკენ მმართველ პარტიასაც, თუმცა მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საყდრისის საპარლამენტო კომისია არ შექმნილიყო.

საყდრისის კომიტეტი აქტიურად გააგრძელებს მუშაობას მომავალშიც, გვაქვს საზოგადოებისა და მედიის მხარდაჭერის იმედი.



ჩვენო საყვარელო ნანა!
გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს. ღმერთი იყოს შენი შემწე.
შენი დედა და მამა

## „ახალგაზრდა ადვოკატები“: „პოლიტიკური ამნისტიის დისკრედიტაცია საარჩევნო კამპანიის ნაწილი ხდება“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

დებით, დაწყებული კამპანია ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ადგილი აქვს პოლიტიკური ხელისუფლების წინააღმდეგ, საპარლამენტო არჩევნების წინ, ისეთი მიზანიმართული მოქმედებების განხორციელებას, რომლის მიზანია არამხოლოდ პოლიტიკოსების დისკრედიტაცია, არამედ ინსტიტუციების რღვევა.

– თუკი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, წინა ხელისუფლების მნიშვნელოვანი მარცხი საქართველოს ციხეებში არსებული ძალადობის ამსახველმა კადრებმა განაპირობა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, დაწყებული კამპანია სწორედ მსჯავრდებულთა საქმეების ანგარებით გადაწყვეტაზე, მოქმედი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობის დაკარგვას ემსახურება.

ასეთი შედეგები ქვეყანაში ხელსაყრელია მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და წინა ხელისუფლებასთან, პოლიტიკური მიზნებით დაკავშირებული პირებისა თუ სამოქალაქო ჯგუფებისთვის.

გვაკვირვებს, მსჯავრდებულთა საქმეების მიმართ შესაძლო ანგარების ან საქმეების სამართლიანი განხილვის პროცესში ზემოქმედების შესაძლო ფაქტები, რატომ არ გახმაურდა წლების მანძილზე და აქტუალობას რატომ იძენს 2016 წლის დასაწყისში, პოლიტიკურ მიზნებთან ერთად, რას ემსახურება მიმდინარე პროცესი – 2004-12 წლებში, „ნულოვანი ტოლერანტობისა“ და სისტემური დანაშაულებების არარსებობის აზრის დამკვიდრებას თუ ქვეყნის წინაშე, უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მოვლენების – ევროინტეგრაციის პროცესი, ჯანდაცვის რეფორმა, პენიტენციური სისტემის მოწესრიგება, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ფორმირება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, მედია-თავისუფლებისა და ბიზნესზე ჩაურევლობის ფაქტების მიმართ, საზოგადოების შეხედულებების განეიტრალებას, – აცხადებს კაიკაციშვილი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოუწოდებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დისკუსიაში მონაწილე ყველა პირს, ყურადღება დაეთმოს მსჯელობის დროს ყველა გამონათქვამს და შეფასებით ნაწილს, ვინაიდან საქმე ეხება ყოფილი მსჯავრდებულების ინდივიდუალურ საქმეებს, პოლიტიკური ამნისტიის მიღების მნიშვნელობას, საზოგადოების უფლებას, მიიღოს მხოლოდ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია. მიგვაჩნია, რომ გამოძიება, რაც შეიძლება მალე უნდა დასრულდეს და დადგეს ყველა პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, თუკი გამოიკვეთება ბრალდების ნამდვილობა ან ცილისწამება.

**ინტერპრესნიუსი**

## ასტროპროგნოზი

### 15 დეკემბრისათვის



**ვერძი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. უმრავლეს შემთხვევაში გიმართლებთ. პროფესიასთან დაკავშირებულ პრობლემებს იოლად გადაწყვეტთ. **კურო** – სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. იღბლიანი დღეა, ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. ინიციატივას ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ტყუპები** – ენერგია გემატებათ. სულიერად გაწონასწორებული ხართ. პარტნიორის ღირსებები სათანადოდ შეაფასეთ. ეცადეთ, მავნე ჩვევებისგან გათავისუფლდეთ. **კირჩხიბი** – იოლად ნურავის მიენდობით. სასიცოცხლო ტონუსი დაქვეითებულია. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. საქმიან ქაღალდებს ხელი არ მოაწეროთ. **ლომი** – საჯარო სამსახურთან დაკავშირებულ პრობლემებს საკმაოდ სწრაფად მოაგვარებთ. დაისვენეთ. ენერგიის აღდგენა გჭირდებათ. ძველი საქმეების დამთავრებას წარმატებით შეძლებთ. **ქალწული** – ეცადეთ, ყველაფერს დადებითი კუთხით შეხედოთ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. **სასწორი** – ახალი საქმის დასაწყებად კარგი დღეა. ბიზნესის სფეროში მომუშავე ადამიანებს დღეს განსაკუთრებული წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. **ღრიანკალი** – ძალიან აგრესიული და დაუნდობელი ხართ, ამიტომ გარშემომყოფთაგანაც ამავეს გრძნობთ. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ, თორემ ძალიან ინანებთ. **მშვილდოსანი** – საკუთარ შესაძლებლობებს კრიტიკულად მიუდექით. გავლენიანი ადამიანი თქვენს მომავალზე კეთილისმყოფელ ზემოქმედებას მოახდენს. **თხის რქა** – შემოქმედებითი, მაგრამ მძიმე დღეა, განსაკუთრებით – მამაკაცებისათვის. დაწყებული საქმე აუცილებლად დაამთავრეთ. გარკვეულ შემთხვევებში სიმტკიცისა და პრინციპულობის გამოჩენა გმართებთ. **მერწყული** – ეს დღე ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ. თქვენს ზრუნვას განსაკუთრებით მოხუცები და ბავშვები საჭიროებენ. ადამიანებთან ურთიერთობისას მეტი ტაქტისა და გულისხმიერების გამოჩენა გმართებთ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი და თქვენთვის ემოციური აღმავლობის პერიოდია. სამწუხაროდ, სამსახურში პრობლემები შეგექმნებათ. პირად ცხოვრებაშიც ყველაფერი ისე არ არის, როგორც ისურვებდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. თაფლგამოცლილი ფიჭა; 2. წითელი ზღვისპირა კურორტი იორდანიაში; 3. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის; 5. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 6. სასტუმრო ავტოტურისტებისთვის; 9. სამხედრო ავიაციის ქვედანაყოფი; 10. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა; 11. საეკლესიო წესით ქორწინება; 14. სამჭედლო იარაღი; 16. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 18. ქართული საბავშვო ჟურნალი.

**თარაზულად:** 1. არაბი, არამომთაბარე გლეხი; 4. მდინარე ვაშინგტონში; 7. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 8. ისტორიული მოედანი პარიზში; 12. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 13. ცხენის, აქლემის რძისაგან მომზადებული სასმელი; 15. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 19. სახელმწიფო კავკასიაში; 20. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 21. ტბა ჯავახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ნატრიუმი; 7. არქაული; 8. ელარჯი; 10. ღირღიტა; 12. თასმა; 13. კრონი; 14. ტარსიკონი; 18. ბამბა; 20. პარადი; 23. ბალეტი; 24. იოლი; 25. ქაბაბი; 26. რაბი; 27. ეტალონი.

**შვეულად:** 1. პანიკა; 2. ჩიქვი; 3. კრიახი; 4. შალითა; 6. საპალნე; 9. პიურე; 11. ნორმალი; 15. ინდიელები; 16. დარაბა; 17. ნაწიბური; 19. არომატი; 21. ბრიკეტი; 22. მაგარი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. იდეა; 2. რუ; 3. იაგანი; 4. კალია; 5. პეტიცია; 6. აცრა; 7. ოტია; 8. ფარვანა; 9. რადონი; 10. ადიტი; 11. ლანდი; 12. მიტუა; 13. დვირი; 14. ია; 15. არტერია; 16. მატლი; 17. კაა; 18. ალაფი; 19. აბულია; 20. მადერა; 21. რაუტი; 22. პალმა; 23. პალიტრა; 24. მაჟალო; 25. კავატინა; 26. ილიე; 27. ელ; 28. მისტერია; 29. მედისონი; 30. მერილ; 31. ისი; 32. ოფისი; 33. კიი.

**სურათებზე:** უინონა რაიდერი; ლუდოვიკ ჟიული

# „ფორტემ“ პატიმრებს უმღერა



პანჩოს, ნიკოლ შოუს, ახალი ქართული ხმის მწვრთნელების, ოთო და ბესო ნემსაძეების შემდეგ, პატიმრებს ჯგუფი „ფორტე“ ესტუმრა და მათთვის კონცერტი გამართა.

სასჯელაღსრულების მე-5 ქალთა დაწესებულებაში კონცერტი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით მოეწყო და ის მსჯავრდებული ქალების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიზნით განხორციელდა.

„ფორტეს“ წევრებმა მსჯავრდებულებისთვის საკუთარი რეპერტუარიდან ცნობილი სიმღერები შეასრულეს, მსჯავრდებულების კითხვებს უპასუხეს და საკუთარი მოღვაწეობის სხვადასხვა საინტერესო და მნიშვნელოვანი პერიოდი გაიხსენეს. ანსამბლის წევრებმა მსჯავრდებულების მიერ შესრულებულ სიმღერებს მოუსმინეს და მათთან ერთად რამდენიმე მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომერიც შეასრულეს.

ანსამბლის წევრებმა მსჯავრდებულ ქალბატონებს თავიანთი სიმღერების ალბომი სახელწოდებით „თბილისის მზეს“ გადასცეს. „ფორტეს“ წევრის, ზურაბ მანჯავიძის განცხადებით, მისთვის შეხვედრა ძალიან ემოციური იყო და მზადყოფნა გამოთქვა, მომავალშიც მიიღოს მონაწილეობა მსგავს ღონისძიებაში.

– ძალიან ძნელია ახლა ჩემთვის საუბარი, იმდენად ემოციური შეხვედრა გამოვიდა. მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც დღევანდელი დღე გვაჩუქა. ემოციებით იმდენად დატვირთულები მივდივართ აქედან, რომ ერთი სული გვაქვს, კიდევ როდის დავბრუნდებით. მცირედით მაინც თუ გავულამაზეთ ამ ქალბატონებს ცხოვრება, ჩვენ ამით ბედნიერები ვართ. ერთად შევასრულეთ სიმღერები, ერთად ვიცეკვეთ კიდეც, ქალბატონებმა მათი ხელნაკეთი საჩუქრები გადმოგვცეს, რომლებიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ადამიანებმა აუცილებლად უნდა მოახერხონ თვითრეალიზაცია და ამის საშუალება მათ ნამდვილად ეძლევათ, – განაცხადა ზურაბ მანჯავიძემ.

პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა ნესტან ვერულაშვილმა მადლობა გადაუხადა ანსამბლ „ფორტეს“ და აღნიშნა, რომ მსჯავრდებულებისთვის ასეთი ემოციური, ორმხრივად პოზიტიური საღამოები ძალიან მნიშვნელოვანია.

– არაჩვეულებრივი ინიციატივა იყო და ძალიან ემოციური შეხვედრა გამოვიდა. ძალიან ნიჭიერი ადამიანები არიან, ჩვენი ქალბატონებისთვის ასეთი ემოციური, ორმხრივი პოზიტიური საღამოები ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ფორტეს და იმ ადამიანებს, ვინც ეს ინიციატივა სისრულეში მოიყვანა, – განაცხადა ნესტან ვერულაშვილმა.

# ლიანა ასათიანი 90 წლის გახდებოდა



ქართული კინოს მშვენება ლიანა ასათიანი 90 წლის გახდებოდა. მსახიობის იუბილეს მისი კოლეგა, ქეთევან კიკნაძე გულისტკივილით გამოეხმაურა:

– ლიანა ასათიანს 90 წელი შეუსრულდებოდა. მეგონა, ამ ამბავს ტელევიზია გააშუქებდა, მაგრამ არა... სამაგიეროდ, დღევანდელი ტელევიზია მოგიყვება, ვინ როგორ იმშობიარა, ან დედამთილს წაეჩხუბა. ჩემო ლიანა, ჩემო საყვარელო, ლამაზო და მშვენიერო ადამიანო, სულით მაღალო არსებავ, არასოდეს დაგივიწყებ, მიყვარხარ ძალიან და ყოველთვის მემახსოვრები.

ლიანა ასათიანი გასულ წელს 89 წლის ასაკში გარდაიცვალა. დავით თორაძის მეუღლე და ლექსო თორაძის დედა ყოველთვის ამაყობდა თავისი ოჯახით და მათი კეთილდღეობისთვის ყველაფერს აკეთებდა.

ლიანა ასათიანს კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს, რაც მისი კინოშემოქმედებაში განსაკუთრებული მოღვაწეობის დასტურია.

# რეზო ჭანიშვილს ვარსკვლავი გაუხსნეს



ქართველ ქორეოგრაფს რეზო ჭანიშვილს დიდი საკონცერტო დარბაზის წინ სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს. ვარსკვლავის გახსნამდე მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკეებიან დარბაზში რეზო ჭანიშვილის წიგნის „ქართული ცეკვის სადიდებელი“ პრეზენტაცია გაიმართა.

თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში კი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის რეზო ჭანიშვილის 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი ჩატარდა.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელს ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მანანა ბერიკაშვილმა კულტურის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო – ხელოვნების ქურუმი – გადასცა.

# ქართველი მომღერალი საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულია

ქართველი მომღერალი მარიტა ცეცხლაძე რიგაში გამართული საერთაშორისო კონკურს-ფესტივალის გამარჯვებულია. ფესტივალის მიზანი სხვადასხვა ქვეყნის კულტურის პოპულარიზაცია და კონკურსანტებს შორის შემოქმედებითი კონტაქტების დამყარებაა.

ვოკალურ ფესტივალში „რიგის სიმფონია 2015“ წელს 40 ქვეყნის 450 მონაწილე იყო ჩართული. კონკურსის შემდეგ შეირჩა 56 საუკეთესო შემსრულებელი, რომლებიც წარდგნენ ჟიურის წინაშე ფესტივალის გალა-კონცერტზე.

ფინალისტთა შორის გამარჯვება მარიტა ცეცხლაძემ მოიპოვა და ფესტივალის საპრიზო ადგილიც დაიმსახურა. ქართველმა მომღერალმა პირველი საპრიზო ადგილი ორ ნომინაციაში დაიმსახურა და ოქროს მედალი და პირველი ადგილის დამადასტურებელი დიპლომიც მიიღო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

# პაატა ღვინიაშვილი საქართველოს ფალავანია

თბილისის ცირკში ფალავნობა გაიმართა. ტურნირის ფინალში შიდაქართლელმა პაატა ღვინიაშვილმა საჩხერელი მძიმეწონოსანი ონისე ბულაძე დაამარცხა და ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტური ფალავანი მეორედ გახდა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე საქართველოს ფალავანს პრიზად დიდ დიღომში მდებარე ბინის გასაღები გადაეცა. აღსანიშნავია, რომ ღვინიაშვილმა შარშანწინდელი გამარჯვებით მერსედესი მიიღო. მერსედესი ამჯერად მეორე ადგილზე გასულ ბულაძეს ერგო. მესამეადგილოსანმა ლევან მატიაშვილმა კი 3.000 ლარი მიიღო.

ღვინიაშვილმა კი ფინალის გზაზე ორი მეტოქე ჩამოიშორა: კონსტანტინე გაზაშვილი და ლევან მატიაშვილი.

აბსოლუტური ფალავნობისთვის კი ოთხივე წონის მედალოსნები და მეოთხე ადგილზე გასული მოჭიდავეები იბრძოდნენ. თუ რომელ მოჭიდავეებს სურდათ ბინა დიდ დიღომში, ამას ტექნიკური შედეგებიდან შეიტყობთ.



აბსოლუტური ფალავნობა: 1.პაატა ღვინიაშვილი; 2.ონისე ბულაძე; 3.ლევან მატიაშვილი;

**80 კგ:** 1.გიორგი კაციაშვილი; 2.გიორგი პაპუნაშვილი; 3.კახა მამულაშვილი; 4.ალექსანდრე ნანიევი;

**90 კგ:** 1.პაატა ღვინიაშვილი; 2.კონსტანტინე გაზაშვილი; 3.ზაურ მამარდაშვილი; 4.ლევან წიკლაური;

**100 კგ:** 1.არსენ ხანჯიანი; 2.დავით ლორიაშვილი; 3.იასონ ნემსაძე; 4.გიორგი ბოლოთაშვილი;

**მძიმე:** 1.ონისე ბულაძე; 2.გურამ თუშიშვილი; 3.ლევან მატიაშვილი; 4.ბექა ბერძენიშვილი.

მიხეილ ყორყოლიანი

# სამგლოვიარო განცხადებები



## ნუნუც წავიდა...

მუდამ მომღიმარი, კეთილმოსურნე, სითბოთი, სიყვარულით, უბრალოებით გამორჩეული, ლამაზი სულის, სხეულის მქონე ღირსეული ქალბატონი.

**ნუნუ (ზეინაბ) გიორგობიანი**

წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოში ტელევიზიაში მთარგმნელად; რუსულიდან თარგმნიდა მხატვრულ, დოკუმენტურ ფილმებს, ტელერადიო გადაცემებს. თარგმნილი აქვს საბავშვო წიგნები. იყო ტელევიზიის სამეცნიერო რედაქციის რედაქტორი, განყოფილების გამგე. გახლდათ ავტორი წიგნისა – „რაც დავიწყებას ვერ გავატანე“. ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ვეტერანი ჟურნალისტი, პერსონალური პენსიონერი მთელი სიცოცხლე ემსახურა საყვარელ საქმეს – ტელეჟურნალისტიკას.

მისი წასვლით პატარა, ლამაზი შტრიხი დააკლდა ქალაქს, ვერის უბანს, სადაც დაიბადა, გაიზარდა, სამეგობროს.

მშვიდად განისვენე სასუფეველში, ძვირფასო ქალბატონო!

მანანა ნოდია, ზურაბ ხასია, დელა კვაჭაძე, ეთერ ცინცაძე, ლია ბერიძე, მერაბ ბერაძე



გურამ და მერაბ ტატიშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი, დიდებული პიროვნება, ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო ინდუსტრიის ღვაწლმოსილი მუშაკი

**რობიკო გიორგის ძე ოთარაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ ოთარაშვილების ოჯახს.

პანაშვიდი: 15, 16 დეკემბერს.

დაკრძალვა: 17 დეკემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ჭოპორტის ქუჩა 5 (სანზონა).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა მწუხარებას გამოთქვამენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ბატონ შოთა ხეცურიანის შვილის

**ვალერიან ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## შაბათი 15 დეკემბერი

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" – **11.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30, 14.05** მხ/ფ "**აპოლო 13**" (ტ.ჰენკსი) **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ–შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **21.00** კონცერტი **22.30** მხ/ფ "**მეორე დღე რომ დაღამდა**" (მ.ბრანდო) **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**იცეკვე მასთან**"

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დოკ/ფ "სუფრაჟისტები" **13.00** დოკ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (5 ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.00, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**რჩეული**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** Voice - საქართველო **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**სხვა ცხოვრების დასაწყისი**" (ა.ეკჰარტი)

**07.00, 15.40** სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.55** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** სპექტაკლი "**ასერგასის დღე**" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** საქართველოს ქალაქები **11.10** თაობა ზეტი **11.30** გამოყენებითი ხელოვნება **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კლავია მინიატა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** საუკუნის პორტრეტები-ავლიპ ზურაბაშვილი **16.20** მგზავრები წუთისოფლისა "ფშავი–სოფ. გომეწარი" **17.10** დ/ფ "ნოდარ მამისაშვილი" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმები-ჩელა **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დ/ფ "ისე წილკნელი" **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "თრონი" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05** სერ. "**სხვისი სხეული**" **11.05** სერ. "**ქუზეი და გუნეი**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 1.30** სერ. "**ტატიანა**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** "თეკუნას კულინარიუმი" **16.05** სერ. "**ჩვენ გვერდით**" **17.05, 2.15** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05** სერ. "**ნადირობა**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ბანდიტების დედოფალი**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00** სერ. "**მუნოსავი-1**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# კროსვორდი

**შვეულად:** 1. ღამის ფრინველი; 2. მრავალჯერადი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი; 3. ქართული ლუდი; 5. გადამდნარი ღორის ქონი; 6. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 8. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 10. ფარული ხრიკები, საძრახისი მოქმედება მიზნის მისაღწევად; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 14. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 15. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ანტონიო გაუდის დაპროექტებული პარკი ბარსელონაში.

**თარაზულად:** 1. ტიციან და გალაკტიონ ტაბიძეების მშობლიური სოფელი; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ისლანდიის პარლამენტი; 7. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ქართული სათვისტომოს მამული პარიზის მახლობლად; 11. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 12. ოკეანეში მცურავი ყინულის მთა; 13. უძველესი მონათმფლობელური სახელმწიფო მცირე აზიაში; 17. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 18. იაპონური ბრინჯის არაყი; 19. პროფესიონალი მაბეზღარა, დამსმენი, შანტაჟისტი ძველ საბერძნეთში; 20. ფრანგი კომპოზიტორი, მოჭადრაკე, ჭადრაკის თეორეტიკოსი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**15 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3947

ევრო — 2.6174

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6088

100 რუსული რუბლი — 3.4523

## ამინდის პროგნოზი 15 დეკემბრისთვის




# ჯანეტ ქერდიყოშვილი ლიდერთა შორისაა



„მის საქართველო 2011“ ჯანეტ ქერდიყოშვილი საერთაშორისო სილამაზის კონკურსში „მის სამყარო 2015“ მონაწილეობს და საქართველოს წარადგენს. მოდელი უკვე ლას ვეგასში იმყოფება და დასკვნით შოუმდე ბოლო რეპეტიციებს გადის.

ჯანეტს კონკურსში მონაწილეობა 2013 წელსაც უნდა მიეღო, თუმცა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო კონკურსზე გამგზავრება ვერ შეძლო.

— დიდი სიახლე! ის დაბრუნდა! სასიხარულო ამბავი მათთვის, ვინც მას გასულ წელს გულშემატკივრობდით და სამწუხაროდ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, „მის სამყაროს“ ტიტულისთვის ბრძოლა ვერ მოახერხა. ამჯერად კი თავის სამშობლოს ლას-ვეგასში წარმოადგენს. ვიმედოვნებთ, ის მზად არის და საქართველოს ასახელებს. ჯანეტ ქერდიყოშვილი — მის საქართველო მის სამყარო 2015-ზე, — ასეთი განცხადებით შეხვდა ქართველ კონკურსანტს გამოცემა „პერფექტ მისი“.

ჯანეტი საქართველოდან მისი გულშემატკივრების აქტიურობით აღფრთოვანებულია, რამაც ქართველ ლამაზმანს ლიდერთა შორის დაუმკვიდრა ადგილი და ამისთვის ის საჯაროდ იხდის მადლობას:

— ჩემო ძვირფასო ქართველებო, ძალიან დიდი მადლობა ასეთი მხარში დგომისათვის, მათ შორის ემიგრანტების მიმართაც მინდა ჩემი მადლიერება გამოვხატო. თქვენმა ასეთმა აქტიურობამ სოციალურ ქსელში ლიდერთა პოზიციები გვარგუნა და ჩვენი პატარა და მცირერიცხოვანი ქვეყანა სხვა დიდი ქვეყნების გვერდით აღმოჩნდა. ყველა გაოცებულია ამ ფაქტით და, რაც მთავარია, ეს დიდ გავლენას ახდეს შეფასებებსა და სამომავლო გადაწყვეტილებებზე. მინდა თხოვნით მოგმართოთ, რადგან 20 დეკემბრამდე ძალიან ცოტა დრო რჩება და თქვენი თითოეული ლაიქი და კომენტარი ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს სამომავლოდ საქართველოს შანსებზე ამ კონკურსზე.

„მის სამყარო 2015“-ის ფინალური კონკურსი ლას-ვეგასში 20 დეკემბერს გაიმართება.

**ეკა ირემაშვილი**

# ანანიძეთი ლევანტე და რეალ სოსიედადი დაინტერესდნენ



მოსკოვის სპარტაკის ქართველი ნახევარმცველი ჯანო ანანიძე რუსეთის დატოვებას აპირებს. ანანიძემ ინტერვიუში განაცხადა, რომ ძალიან სურდა ევროპაში თამაში და მისით რამდენიმე ესპანური გუნდი იყო დაინტერესებული.

როგორც ესპანური პრესა იუწყება, ეს გუნდები ლევანტე და რეალ სოსიედადი არიან. ჯერჯერობით სხვა დეტალები ცნობილი არ არის და ბევრი რამ უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ჯანო ანანიძე სპარტაკში 2009 წლიდან თამაშობს, მაგრამ ბოლო პერიოდში მას მცირე სათამაშო პრაქტიკა აქვს, რის გამოც, მას სურს კარიერა რომელიმე სხვა გუნდში გააგრძელოს.

# რაფაელ ბენიტესმა თავისი გუნდი გააკრიტიკა



13 დეკემბერს მადრიდის რეალმა სტუმრად ვილიარეალთან 0:1 წააგო და ბარსელონასთან მიახლოების შანსი ხელიდან გაუშვა.

რეალის მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა ამ ყველაფერზე ასეთი კომენტარი გააკეთა:

— პირველი ტაიმი ძალიან ცუდად დავიწყეთ და გოლიც დამსახურებულად გავუშვით. შეხვედრის მეორე ნახევარში მდგომარეობა გამოვასწორეთ, თუმცა გოლის გატანა მაინც ვერ მოვახერხეთ. ეს ძალიან ცუდი შედეგია ჩვენთვის, რადგან შანსი გვქონდა, ლიდერებთან ქულათა სხვაობა შეგვემცირებინა.

რეალი 15 ტურის შემდეგ 30 ქულით სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზეა.

# ფილიპ ლამი იუვენტუსთან შეხვედრის მოლოდინშია



როგორც მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მიუნხენის ბაიერნი იუვენტუსს დაუპირისპირდება. ორივე გუნდი ევროპული ფეხბურთის გრანდად ითვლება, ამიტომ მათი შეხვედრები ძალიან საინტერესო და დაძაბული უნდა გამოდგეს.

ბაიერნის მცველს ფილიპ ლამს ერთი სული აქვს, იუვენტუსის წინააღმდეგ მოედანზე გავიდეს. მისი თქმით, იუვენტუსთან ბაიერნს ნამდვილი გამოცდა ელოდება.

— იუვენტუსი შარშან ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, ამიტომ მისი დამარცხება ძალიან რთული იქნება. მიუხედავად ამისა, მეოთხედფინალში გასვლა ძალიან გვინდა, ამიტომ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი 50 ლარი 90-ის ნაცვლად



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

## შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი! 45 ლარი 95-ის ნაცვლად



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

## სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად

1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

## 35 ლარად 65 ლარის უმაღლესი ხარისხის ელექტროლეიბები



გერმანული წარმოების ელექტროლეიბი.... ეკონომიურია და რაც მთავარია აბსოლუტურად უსაფრთხო.... ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.
1) ტემპერატურის მარეგულირებელი 2 სიჩქარე;
2) ზომა 120X160.

## მზის სანათი



**შეთავაზების აღწერილობა:**
– მზის სანათი საშუალებას მოგცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას;
– აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერგია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;
– აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი. შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსბ მოწყობილობა, მობილური, აიპოდი და სხვა.



## კალეიდოსკოპი

# იაპონელი ქალები ქალიშვილობის გვარის შენარჩუნებას მოითხოვენ



იაპონიაში ქალები გათხოვების შემდეგ საკუთარი ქალიშვილობის გვარის შენარჩუნებისთვის იბრძვიან.

1896 წლის კანონის თანახმად, ქმარმა და ცოლმა ქორწინების დარეგისტრირებისთვის ერთი და იგივე გვარი უნდა აიღონ. კანონი არ აზუსტებს თუ მეუღლეებიდან რომელმა უნდა შეიცვალოს გვარი, მაგრამ პრაქტიკაში ცოლების 96 პროცენტი მეუღლის გვარზე გადადის. ზოგიერთი წყვილი ამჯობინებს, საერთოდ არ დაარეგისტრიროს ქორწინება, რათა ამით საკუთარი გვარები შეინარჩუნონ.

როგორც 41 წლის თარჯიმანმა კაორი ოგუნიმ განაცხადა, ქალიშვილობის გვარის დაკარგვა საკუთარი პიროვნულობის ნაწილის დაკარგვას ნიშნავს. ოგუნიმ და კიდევ ოთხმა ქალმა იაპონიის ხელისუფლებას სარჩელით მიმართა — „დიდი შვიდეულის“ ერთადერთ ქვეყანას, სადაც ასეთი კანონი მოქმედებს. როგორც მოსარჩელეები ამტკიცებენ, ეს კანონი არაკონსტიტუციურია და შეუღლებული წყვილის უფლებებს არღვევს. ასევე ქალები კომპენსაციასაც მოითხოვენ.

# ნეთანიაჰუს ძაღლი კარანტინში მოათავსეს



ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს ძაღლი კაიუ კარანტინში მას შემდეგ მოათავსეს, როდესაც მან ხანუკის დღესასწაულის დროს პრემიერის მაღალჩინოსან სტუმარს უკბინა.

— ვწუხვართ, მაგრამ ჩვენ იძულებული გავხდით, კანონის თანახმად, კაიუ კარანტინში მოგვეთავსებინა, — ნათქვამია ფეისბუქში განთავსებულ ნეთანიაჰუს განცხადებაში.

მისი აზრით, ამჟამინდელ კანონმდებლობაში, რომლის თანახმადაც, ძაღლის იზოლირება უნდა მოხდეს, არის გარკვეული უზუსტობები, რომელთა აღმოფხვრა აუცილებელია.

განცხადებაში არ არის ნათქვამი, თუ საბოლოოდ რა ელის ნეთანიაჰუს ძაღლს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— გუშინ რითი იყავით დაკავებული?

— მსოფლიოს ვიპყრობდით.

— გასაგებია, სვამდით.

●●●

ექიმი პაციენტს ეკითხება:

— როგორ იძინებთ?

— კარგად. სამამდე ვითვლი და ვიძინებ.

— მხოლოდ სამამდე?

— არა, ზოგჯერ ოთხის ნახევრამდეც.

●●●

გოგონა ქუჩაში გზაჯვარედინზე გადადის და შუქნიშანს უყვირის:

— დაიცადე, მაღალქუსლიანებით ვარ.

●●●

სადილობის დროს ქმარი ცოლს ეუბნება:

— ძვირფასო, მარილი მომაწოდე.

— რას გულისხმობ?

— რას უნდა ვგულისხმობდე?

— გინდა თქვა, რომ მარილი აკლია?

—???

— რა, ცუდ საჭმელს ვამზადებ?

— რა, არ შეგეფერები?

— წადი შენი...

●●●

ორი ლექტორი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ვერ ვიტან, როდესაც ლექციის დროს სტუდენტები საათს უყურებენ.

— ეგ რა არის, ნერვების მოშლა მაშინ ნახე, როდესაც საათი ყურთან მიაქვთ იმის გასაგებად, მუშაობს თუ არა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

— ცოლი რატომ არ მოგყავს.

— რამდენი გოგონაც მივიყვანე, დედამ ყველა დაიწუნა.

— შენც მისი მსგავსი მიიყვანე.

— მივიყვანე, მაგრამ მამამ ლანძღვა-გინებით ამიკლო.

●●●

სტუდენტ შვილს მშობლებმა ჩააკითხეს სოფლიდან და ეკითხებიან:

— როგორ ხარ? როგორ მოეწყვე საერთო საცხოვრებელში? ხომ არ გაწუხებენ მეზობლები.

— არა, რას ამბობთ. აი, ამ საწოლზე ჩემს ერთ კურსელს სძინავს. ნამდვილი შეშლილია, ღამით წამოხტება ხოლმე და მთელი ხმით გაჰყვირის.

— აი, ამ საწოლზე მეორე თანაკურსელს სძინავს, თუმცა არც ის არის დალაგებული, ღამით წამოხტება და კედელს თავს ურტყამს.

— კი მაგრამ, შვილო, ასეთ პირობებში როგორ ახერხებ ცხოვრებას?

— ძალიან უბრალოდ, მათ სრულ იგნორირებას ვუკეთებ და მთელი ღამე საყვირზე ვუკრავ.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, მირჩიე, რა წავიკითხო?

— „მამაო ჩვენო“, სანამ მე შენ ტელეფონში გამოგზავნილ სმს-ებს ბოლომდე ჩავიკითხავ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**